ფასი 5.000 მ.

# ბახტრიონი

რედაქციის მისამართი: პუშკინის პასსაჟი ტელეფ. 8—04.

განცხადების ფასი მორიგებით.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 23 — კვირა 17 დეკემბერი — № 23

პირველ იანვრიდან ტფილისში განახლდება გამოცემა უოველკვირეულ გაზეთი

„ბარრიკადი“

პოეზია, ესტეტიკა, პოლიტიკა.

გაზეთში იქნება მიმოხილვა წარსული წლის პოეზიისა საქართველოში და ევროპაში

დაბეჭდილი იქნება დეკლარაციები და მანიფესტები.

რედაქტორი: ტიციან ტაბიძე.

---

ხელოვანთა სასახლე
(სერგეევის ქ. № 13)

საქართველოს ახალ მწერალთა კავშირის მორიგი 48

ესტეტიური საღამო.

კვირას, 17 დეკემბერს

ბ. ინგოროყვას მეოთხე მოხსენება შოთა რუსთ ველზე

„რუსთაველის გეოგრაფია“

საღამო დაიწყება 7 საათზე.

შესავალი ფასი 20 ათასი მ.

დარბაზი გათბობილია.

---

ქალაქ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ტფილისის ქალაქის მ. გ. მილიციის თანამშრომელთათვის

საჭიროა ფრიად სასწრაფოდ

დამზადდეს

700 ცალი ნაბდის ქუდები, აგრეთვე 700 წყვილი „ბოტინკები“

ვისაც შეუძლიან 700 ცალი ქურქისათვის საჭირო რაოდენობის კარგი ხარისხის ნაბდისა და 700 წყვილი ფეხსაცმელის მოწოდება, ვსთხოვთ გამოცხადდეს სამმართველოს განყოფილებაში—ლ. დუმბაძის ყოფ. ველიამინოვის ქ. № 7 და თან წარმოადგინოს შესაფერი ნიმუშები ნაბდისა „ბოტინკებისა“.

ტფილისის ილმასკომის სამმართველოს განყოფილება.

---

ამ-ბა „ხორც პროდუქტმა“ გასაყიდათ მიიღო დამარილებული მროხის ხორცი საკუთარი წარმოების იყიდება ამ-ბის ყველა დუქნებში.

ამ. კანტორა: სასახლის, 6 (მესამე სართული) ტელეფ. 9—34.

გამგეობა.

---

ამ-ბა „ხორც-პროდუქტი“

აუწყებს საყოველთაოთ, რომ ამხანაგობის მთავარი კონტორა და გამგეობა

გადავიდა

სასახლის ქუჩაზე, 6. (3 სართული) ტელ. 9—34. სადაც უნდა მიმართოთ საქმეებისთვის.

გამგეობა.

---

საფინანსო კომისარიატის საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ

დიდი ლატარიის

მომწყობი კომისია ამით აცხადებს საზოგადოების და ლატარიის პროვინციის ქვე კომისიების საყურადღებოდ, რომ

ლატარიის გათამაშება გადადებულია

1922 წ. 20 თებერვლისთვის.

ბილეთების გაყიდვა გრძელდება

კომისია.

---

საქართველოს ტეხნიკური საამშენებლო

ბიურო

„სატსამბო“

მთავარი სამმართველო: ტფილისი, თავისუფლების მოედანი № 3, ტელ. 3—26, დეპეშის მისამართი—ტფილისი, „სატსამბო“, განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში, ახალ სენაკში.

ყველა-ელექტროფიკაციისათვის ფერი

ელექტრონის დანადგარები, ტეხნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.

საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტეხნიკურ მასალების დიდი რაოდენობა.

---

## ალ. სუმბათაშვილი—იუჟინი

(მეგობრის აზრი მეგობარზე)

ორმოცი წელიწადია, რაც ალექსანდრე სუმბათაშვილი ამშვენებს მოსკოვის სახელოვან პატარა თეატრს—შჩეპკინის სახელს.

ორმოცი წელიწადია, რაც იგი პირველათ რუსეთის უზარმაზარ სივრცესიგანეზე; პირველობს როგორც მსახიობი, როგორც დრამატიული, როგორც დრამატურგი, როგორც მოაზროვნე საზოგადო მოღვაწე

დიდმა რუსეთმა დიდი ხანია რაც მოწიწებით თავი მოიხარა ალექსანდრე სუმბათაშვილის არა ჩვეულებრივი, ბუმბერაზული, თითქმის ზეკაცური ღვაწლის წინაშე.

ალექსანდრე სუმბათაშვილის სხივოსანი სახელი და დიდება რა ერთი ხანია გასცილდა რუსეთის საზღვრებს. იგი ისეთივე პატივით იხსენება ბერლინსა და პარიზში, ვენასა და ·–·–·მში როგორც, მოსკოვსა და პეტრეს ქალაქში.

ამ ოცდა ორი წლის წინად ალექსანდრე სუმბათაშვილი პარიზში ეღირსა იმისთანა იშვიათს ყურადღებას და ჯილდოს, რომელსაც არც ერთი უცხოეთის ხელოვანს წილად არ ხვედრია: საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა საჯაროდ უბოძა მას აკადემიური დაფნის შტოები ვიქტორ ჰიუგოს ცნობილს დრამა „ერნანში“ მეფე კარლოსის შესრულებისათვის. ეს იყო მეოცე საუკუნის დასაწყისს 1900 წელს

დიახაც დიდი მსახიობია სუმბათაშვილი, დიდი მწერალია, დიდი მოაზროვნე ხელოვანი და დიდბუნებოვანი ადამიანიც.

მისი არტისტიული ავლადიდება მეტად დიდ ფეროვანია: მას ერთნაირის ელფერით ემარჯვება კომედიური სტილი და დრამა დრამატიული და ტრაგიული განცადა.

მე იგი ვნახე მოსკოვში, როცა სადებიუტოდ გამოვიდა პირველად პატარა თეატრში. ასრულებდა იგი ალექსანდრე ჩაცკის როლს გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან-“ში.

ისე ცხოვლად მახსოვს ის წარმოდგენას თითქოს ორმოცი წელიწადი კი არა ორი დღეც არ იყოს მას შეუდგ. ქართველი სტუდენტობა გულის ფანცქალით მოელოდა ამ დებიუტს. მაშინ მისთვის პატარა თეატრში ბუმბერაზი მსახიობები იყვნენ: სამარინი ლენსკი ფედოტოვის ქალი ნიკულინი ერმალოვის ქალი, ბუზილი სალესკებინ სხვები და მათ შორის ახალგაზდა, ლამაზი, ახოვანი და ლონიერი ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე სუმბათაშვილი. მწარედ გვალონებდა ალექსანდრეს „აქცენტი“ მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, სუმბათაშვილის რუსული თვით რუსების რუსულსაც სჯობდა. ამ საბედისწერო დებუტმა ალექსანდრე სუმბათაშვილი სამუდამოთ შეადუღა და შეასისხლხორცა პატარა თეატრთან.

იმ დღიდან მოყოლებული ალექსანდრე სუმბათაშვილი სულ ახალგაზდებს და აშიყ-მიჯნურებს თამაშობდა სცენაზე და მერე ნელნელა გადავარდა კლასიკურ როლებზე: მისი ჰამლეტის როლი მაკბეტი, ოტელო რნაი და სხვა დაუვიწყარი სახენი.

უფრო ძლიერი და უკვდავი სუმბათაშვილი, როგორც მწერალი დრამატურლი: მისი „ბორკილი“ „არკაზანოვები“ „არწივები და ყვავები“ „ძველი მოდგმა ფოთლები “შრიალებენ“, „ჯენტლემენ“ და სხვანი მრავალნი დღედღე არ მოშორებულან თვალ გადუწვდენელ რუსეთის თეატრებს. ხოლო „ღალატის“ ავტორი, ეჭვი არ არის, მარადისობისა და უკვდაების სამთავროში მოექცევა. „ღალატი“ გადათარგმნილია თითქმის ყველა ევროპიულ ენებზე.

„ღალატი“ არის უაღრესი და უმშვენიერესი ჰიმნი თავისუფლების ტრფიალისა და ძიებისა. თამამად შემიძლიან ვსთქვა რომ რუსეთის რევოლიუციის მომზადებაში არც ერთს ცხოვრებისა და პოლიტიკურ ფაქტორს ისე არ უმოქმედნია ვრცელ მასსებზე, როგორც „ღალატს“ და მის მიერ გაწეულ პროპაგანდას თავისუფლებისათვის.

ფას დაუდებელია ალექსანდრე სუმბათაშვილი, როგორც მცოდნე და გამგე თეატრის და სცენის საქმეთა. ორმოცი წლიდან სუმბათაშვილი ოც წელიწადზე მეტია მოსკოვის თეატრის სათავეში სდგას და მის ბედილბალს განაგებს.

როცა სტანისლავკისა და ნემიროვიჩის გარეკლამებული სამხატვრო თეატრი უმაღლესს წერტილს აღწევდა,—სუმბათაშვილი დინჯად და ქართველურის სიდარბაისლით აზრუს არ იტებდა და გაათკაცებულის ჟინით და ენერგიით ამაგრებდა პატარა თეატრის ზღუდეს. და დღევანდელმა სინამდვილემ ცხად ჰყო ალექსანდრე სუმბათაშვილის ხელოვნური ალღო და გეზი. სამხატვრო თეატრი მისის ცალმხრივობით დაირღვა, ხოლო პატარა თეატრი უფრო მტკიცე და მკვიდრია ამ რევოლიუციის დროსაც კი.

ალექსანდრე სუმბათაშვილის კრიტიკული წერილები მოწმობენ მის იშვიათს ცოდნას, მახვილ გონებას და ხელოვნების ფილოსოფიის შეგნებას.

არა ნაკლებ საინტერესო დიდებულია ალექსანდრე ენამეტყველი ორატორი, რომლის მოსმენა დაუსრულებელი სიამოვნების და აღტაცების მომგვრელია.

მუდამ ჰკვიანი და ენამოსწრებული. ფხიზელი და დარბაისელი, იგი თავის ყოფა ქცევაში და სიტყვა პასუხში მოგვაგონებთ იმ ჯიშიან „ბატონს“ რომელნიც შეადგენდნენ ქართველი ერის მაგარ ხერხემალს და რომელთაც შექმნეს ქართველური კულტურა და ისტორია.

ვალერიან გუნია.

## სუმბათაშვილი

ალექსანდრე ივ. სუმბათაშვილი (იუჟინი) დაიბადა 1857 წ. 4 სეკტემბერს. ტულის გუბერნიაში და ეკუთნის უძველეს ქართულ გვარეულობას, რომელსაც ეპყრა ქვიშხეთის და კორტანეთის მამული

თბილისის გიმნაზიის დასრულების შემდეგ ალ. სუმბათაშვილი შედის პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც მან კიდეც დაამთავრა.

მისი სცენაზე გამოსვლა იწყება მოწაფეობიდან, როცა გიმნაზიის სპექტაკლებში მონაწილეობას იღებდა.

სტუდენტობის დროს კი ბ. ალექსანდრე გამოდიოდა საკლუბო წარმომადგენებში, რომლის ანტრეპრენერიოდაც იყო ცნობილი მ. ბაზაროვი. მან პირველმა შეამჩნია მისი ხმა, მანერა, ჭკუა-და ყოველნაირად ცდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობდა მის წინწაწევას. კლუბის სცენაზე იუჟინი თამაშობს პირველ დრამატიულ საყვარლების როლს და შემდეგ კლასიკური რეპარტუარით ეცნობა საზოგადოებას

1881 წ. უნივერსიტეტის გათავებისთანავე ბ. ალექსანდრე გამოდის პეტროგრადის საზაფხულო თეატრში „კარლოს მოორის“ როლში და ბრწყინვალედ იმარჯვებს. ამავე წელს შედის მოსკოვს ბრენკოს თეატრში, სადაც გამოდის „ჰამლეტში“ და სხ.

ამავე ხანებში მას იწვევენ ფ. კორში და პოტეხინი მოსკოვის პატარა თეატრში.

1882 წ. პატარა თეატრის სცენაზე ის პირველად გამოდის ჩაცკის როლში.

საინტერესოა, რომ თბილისის გიმნაზიის სცენაზედაც პირველად ჩაცკის როლში გამოვიდა.

მცირე თეატრში სუმბათაშვილის ნიჭი იშლება მთელი სიძლიერით, ხოლო კლასიკურს რეპერტუარში ის იჭერს პრემიერის ადგილს.

მაგრამ ალ. სუმბათაშვილი. იმავე დროსვე არის დრამატურგი, მეცნიერი, რეჟისორი, ადმინისტრატორი და სხ.

მისი სამწერლო მოღვაწეობა იწყობა 1877 წლიდან, როცა მან დასწერა Громоотвод. მისი მეორე პიესა „ასული საუკუნის“ ადმინისტრაციამ აკრძალა, მისივე პეისა „ფოთლები შრიალებენ“ აკრძალული იყო 35 წლის განმავლობაში. მასვე ეკუთნის: „შევარდნები და ყვავები“, „არკაზანოვები“ „ძველი წრთობა“ „ჯაჭვი“ „მეფე იოანე II“ ბელადები“ „ღამის ნისლი“ „დაისი„, „ჯენტლმენი“ „სერგეჲ სატილოვ“ და ბოლოს „ღალატი“ რომელიც ამაგრებს ქართულ სცენას.

1900 წელს საფრანგეთის რესპულიკა სუმბათაშვილს ანიჭებს აკადემიურ დაფნის ნიშანს, იმავე წელს იგი გამოდის სერბიაში საგასტროლოდ თავის საუკეთესო როლებში: „რიუბლაზ“, „რიჩარდ III“, „ოტელლო“, „ურიელ-აკოსტა“, და „კინ“. აქ ის მიიღებს წმ. საბას კომანდორის ჯვარს და თეატრის საპატიო რეჟისორის სახელს

1916 წ. სუმბათაშვილი ესტუმრა თავის სამშობლო თბილისს, სადაც ქართული საზოგადოება დიდი ეროვნული პატივისცემით ეგებება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ალექსანდრე მრავალმხრივ ყოფილა თბილისის სტუმარი და ყოველთვის დიდებით უხვდებოდნენ ამ ჩვენი კულტურიდან განდგომილს რომელმაც ღალატი „ღალატით“ გამოისყიდა.

საინტერესოა, რომ თავის პირველ გამოსვლისთანავე სუმბათაშვილი მიხვდა რომ „ბედნიერი ნიჭის“ შადრევანი დაშრა. და საჭირო გახდა ბუნებას მიაშველო ინტელექტი.

მთელს თავის თეატრალურს მუშაობაში ბ. ალექსანდრეს გაჰყავდა პრინციპი, რომლითაც თეატრის სათავეში უნდა იდგეს არტისტი, მხატვარი და არა მოხელე. მისმა მიზანმა ხორცი შეისხა და 1909 წელს მას უკვე ვხედავთ პატარა თეატრის სათავეში.

პატარა თეატრის გამგეობის დროს, მან შეიტანა რეპერტუარში 35 კლასიკური, ხოლო ამავე დროს დადგმულ იქმნა 80 ახალი პიესა. რევოლიუციის დროს ბ ალექსანდრე ინიშნება დიდი და პატარა თეატრების კომისარად, ხოლო უკანასკნელ ხანებში იგი ითვლება მოსკოვის კულტურულ დაწესებულებათა თავმჯდომარედ, ჯერ წინადვე სამეცნიერო აკადემიის წევრად და სხ.

წრეულს ხუთს სექტემბერს, რუსეთმა გადაუხადა ორმოცი წლის მოღვაწეობის გრანდიოზული იუბილე, როგორიც დიდი ხანია მოსკოვს არ უნახავს. იუბილეზე, სხვათა შორის გამოქვეყნდა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება, რომ ალექსანდრე სუმბათაშვილს ეწოდოს „რესპუბლიკის სახალხო არტისტი“.

დღეს მისი გასტროლების რეზონანს ემატება ნაღვლიანი გრძნობა, რომ „ღალატის“ ავტორი, მხოლოდ სტუმარია და გასტროლიორი ქართული სცენის. რო სუმბათაშვილისთვის საქართველო მეორე სამშობლოა და მშვენიერი მოგონება.

## სუმბათაშვილის გასტროლები ტფილისში.

ამ ჟამად ტფილისში იმყოფება მოსკოვის სახელმწიფო თეატრების დამსახურებული არტისტი ალ. სუმბათაშვილი—იუჟინი.

ალ. სუმბათაშვილი ტფილისში დარჩება 9 იანვრამდე, შემდეგ მიემგზავრება ევროპაში და ამერიკაში. ამერიკაში განზრახულია გადაღება კინოზე მისი „ღალატის“, რომლის ხელმძღვანელათ მიწვეულია თვითონ ავტორი. ტფილისში ა. სუმბათაშვილის საგასტროლოდ რუსთაველის თეატრში დადგა შემდეგი პიესები: „ოტელლო“, „ვაი ჭკუისაგან“, „ვენეციელი ვაჭარი“,.

განზრახულია დადგმა სკრიბის—„ქარიშხალი ჭიქაში“ და ოსტროვსკი. ყველა პიესებში გასტროლიორი თამაშობჩვეულებრივი მისი დიდი ოსტატობით და სრულიადაც არ ეტყობა 65 წლის ცხოვრების. მართალია ამსაბლი არ არის შესაფერი, მაგრამ ყველაფერი გამოაქვს თვითონ სუმბათაშვილს, თავის თამაშით. ამიტომ ეს გასტროლები ამ სეზონში განსაკუთრებით ასანიშნავია. 2 იანვარს ქართული თეატრის დაპირების 75 წლის თავზე ა. სუმბათაშვილი ითამაშებს ქართულად ანტონოვის პიესაში „მზის დაბნელება“ ამ პიესას სდგამს კ. მარჯანიშვილი.

## იაკობ ნიკოლაძის იუბილე

### სცენაზე

ფარდა იხდება და სცენა სავსეა იაკობ ნიკოლაძის ქანდაკებებით:

„შოთა რუსთაველი“—ვეზირი, დარბაისელი და პოეტის მკაცრი ფიგურა. „სალომეა“ ცეცხლში გაფოთლილი თმებით, აკაკი წერეთელი—ქვა მზიური გამოხედვით; დამძიმებული სახე პროფ. მელიქიშვილის „ჩრდილოელი ქალი“, „თამარ ყანჩელი“ ბიუსტები: ეგნატე ნინოშვილის, პროფ. ღამბარაშვილის, უცნობი ქალების, „ქარი“ და სხ.

### მოხსენებები

ივანე გომართელის მშვენიერი სიტყვის მერე ვრცელ მოხსენებებს კითხულობს ვახტანგ კოტეტიშვილი. პირველი ნაწილი ეხება ქართულ ქანდაკების ისტორიას და განვითარებას, მსოფლიო ქანდაკებას, ხოლო მეორე ნაწილი—საკუთრივ იაკობ ნიკოლაძის მარჯვენას. მოხსენება მეტად შინაარსიანია და საქმიანი. მოხსენების მერე ხანგრძლივი აპლოდისმენტები.

### იუბილიარის შემოსვლა

იუბილიარი შემოჰყავთ ალექსანდრე სუმბათაშვილს და საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს კოტე მაყაშვილს. მთელი საზოგადოება გაერთიანებულია ერთს ტაშში. იუბილიარი შემკრთალი და აღელვებული იჭერს თავის ადგილს. გვერდით უსხედან: ალ. სუმბათაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, დავით კლდიაშვილი და კოტე მაყაშვილი. სცენა გავსილია საქართველოს კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებით. კოტე მაყაშვილი კითხულობს ადრესებს.

### 50 მილიონი.

მთავრობის სახელით იუბილიარს ულოცავს შრომის კომისარის მოადგილე არჩილ მიქაძე და გადასცემს 50 მილიონს.

### სახალხო მოქანდაკე.

გამოდის შალვა დადიანი და სახ. განათლების კომისარიატის სახელით აცნობეს განათლების კომ-ტის გადაწყვეტილებას, რომ მას ეწოდა „სახალხო მოქანდაკე“ დაუსრულებელი ტაში ჰფარავს მილოცვას.

### ადრესები:

გ. ელისაბედაშვილი ულოცავს ფინანსთა კომისარიატის სახელით და გადასცემს 25 მილიონს.

### ტიციან ტაბიძე.

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კომიტეტის და საიუბილეო კომიტეტის სახელით ულოცავს ტიციან ტაბიძე. შემდეგ ორატორი აცხადებს მთავარ კომიტეტის დადგენილებას, რომ მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე არჩეულია ხელოვანთა კავშირის პირველ საპატიო წევრად, რომ მისი პორტრეტი დაკიდებული იქნება ხელოვანთა სასახლეში და მას მიეცემა მთავარ კომიტეტისგან შეკვეთა ვაჟა-ფშაველას მონუმენტალური ძეგლის.

შემდეგ იგონებს ი. ნიკოლაძის მიერ ახლახან საყვარელ ვაჟის დაკარგვას და ადარებს მუნე სიულის რომელსაც შვილების დაკარგვის შემდეგ „მეფე ოიდიპოს“-ში გამოსვლის დროს ატირებულს საზოგადოებამ ფეხზე ადგომით შესძახა:

— მთელი საფრანგეთი შენთან არის!“

### პაოლო იაშვილი.

სრ. საქართ. ახალ მწერლობის კავშირის „ცისფერი ყანწების“ „ბარრიკადის“ „მეოცნებე ნიამორების“ გაზეთ „ბახტრიონის“ „შვილდოსანის“ და პოეტების ორდენის სახელით იუბილიარს აწეული ხმით ულოცავს პაოლო იაშვილი.

— ჩვენ ვერაფერს ვერ მოგცემთ. პოეტები ღარიბები ვართ, გვაქვს მარტო გული და ეს გული—შენია. ყველა ქვა საქართველოში სისხლით შეღებილია, ჩამოაცილე მას სისხლი და დაუტოვე ერს უკვდავი ქანდაკება ქართული სულისა. სიტყვა გადადის ერთს დაუსრულებელ კოცნაში და ოვაციებში, ალექსანდრე სუმბათაშვილი არტისტიული ჟესტით მიდის პაოლო იაშვილისაკენ, და აღტაცებული ართმევს ხელს.

### დანარჩენი მილოცვები:

ს. საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით ესალმება ლ. ქიაჩელი, მსახიობთა კავშირიდან—აკაკი ვასაძე, აკადემიური თეატრების მმართველობიდან—დავით ჩხეიძე. ქართველ ფუტურისტების სახელით—ნიკოლოზ შენგელაია, გაზეთ „ტრიბუნის“ სახელით—სერგო ამაღლობელი, მ. თოიძის სტუდიის მოწაფეთა სახელით—ი. გვანცალაძე. სომეხ მწერალთა საზ.-ბის წარმომადგენელი, პროფესიონალ კავშირების სახელით—გ. ყურულაშვილი (გადასცა 10 მილიონი) მხატვრების სახელით—ე. ახვლედიანი. აკადემიური კოლიდან—გ. ჩუბინაშვილი.

შემდეგ კითხულობენ მილოცვებს და დეპეშებს, სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან—ივანე ჯავახიშვილის, სომეხთა პოეტის ივანეს თუმანიანის და სხ.

### დავით კლდიაშვილი.

სიტყვას იღებს გათეთრებული მოხუცი დავით კლდიაშვილი, როგორც ქადაგი ის ლაპარაკობს ი. ნიკოლაძის უკვდავებაზე და იმ დაუსრულებელ სიხარულზე, რომელსაც გვანიჭებს ი. ნიკოლაძის 25 წ. მუშაობა.

### ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი.

თავმჯდომარემ და იუბილეის გამრიგემ ის არის უნდა დახუროს სხდომა, რომ სიტყვას ითხოულობს ალ. სუმბათაშვილი.

ის ამბობს: ძალიან მწყინს, რომ მოსკოვმა არ იცოდა ეს დიდი იუბილე მაშინ თქვენს წინაშე მე ვიქნებოდი აღჭურვილი თეატრალურ მოსკოვის ნდობით.

მოსკოვის კულტურულ დაწესებულებათა სახელით, რომლის თავჯდომარე გახლავართ, მოსკოვის მცირე თეატრის სახელით, სამეცნიერო აკადემიის სახელით გილოცავთ თქვენ“.

### ი. ნიკოლაძე.

აზრით და სიყვარულით სავსე საპასუხო სიტყვაში ნიკოლაძე ლაპარაკობს ქანდაკების უკვდავებაზე. „მე მინდოდა უკვდავება ერის და მიტომ ავიღე მასალად ჩემი შემოქმედებისა—ქვა“. სიტყვას ხშირად აწყვეტინებენ ტაშით და ბოლოს საზოგადოება ფეხზე ამდგარი უმართავს იუბილიარს უნახავ ოვაციას.

### ბანკეტი.

(კაფე მეფისტოში).

კარგა ხანია არ გვინახავს ასეთი ბანკეტი, რომელშიაც მონაწილეობდა მთელი ქართული არტისტიული თბილისი. ეს იყო პირდაპირი გაგრძელება საღამოსი. განსაკუთრებულ სიცოცხლეს აძლევენ ბანკეტს, როგორც თვით იუბილიარი, ისე ალ. ი. სუმბათაშვილი და თამადები: სანდრო ყანჩელი, პაოლო იაშვილი და შალვა დადიანი.

ქვიანი და ანთებული სიტყვები, პოეტები და ქართული სიმღერები სცვლიან ერთი-მეორეს. დგება ა. სუმბათაშვილი და იღებს სიტყვას იაკობ ნიკოლაძეზე.

— თქვენ ჩახვეულები ხართ მთების უბეებში და არ გაფიქრებთ მსოფლიო რეპუტაციით; ვინ ესროლა ამ მთებიდან თავისი სახელი მსოფლიოს, თუ არა იაკობ ნიკოლაძემ და მე ნიკოლაძეში ვხედავ არა მარტო დიდს ქართველ ოსტატს და ღმერთშემოსილს, არამედ მსოფლიო ოსტატს“.

მაგრამ ტიციან ტაბიძის გამყიდარი სიტყვა საზოგადოებას აგონებს, რომ ბანკეტზე ზის მსოფლიო რეპუტაციის მეორე არტისტი ალ. სუმბათაშვილი. შემდეგ იუბილიარი მიჰმართავს თხოვნით სუმბათაშვილს რათა როდენის მიერ მისთვის გაკეთებული „ვიკტორ ჰუგოს“ ქანდაკება აჩუქოს საქართველოს. სუმბათაშვილი ამბობს: „ქანდაკებას ვუძღვნი საქართველოს და ამისთვის მზად ვარ მოგცეთ ხელწერილიც-კი“ ვარლამ რუხაძე ამბობს ლექსს, რომელიც მოულოდნელობით აოცებს და ახარებს ქართველ პოეტებს. სიტყვებს ამბობენ: ვასო აბაშიძე, ვალიკო გუნია, ვ. კოტეტიშვილი სამხატრო აკადემიის სახელით—შემდეგ ისევ იუბილიარი მიჰმართავს თავის მოწაფეებს (სახელოვნო აკადემია) გულწრფელი სურვილებით და მადლობით. ბანკეტს მხიარულობა უფრო ემატება და იქამდის მიდის, რომ ცეკვაში მონაწილეობენ: იუბილიარი, ა. სუმბათაშვილი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია და სხვა. ბანკეტი სრულდება დილის 6 საათზე.

### ოფელიას დღესასწაული.

მხოლოთ ერთი დღე წელიწადში ვიუქმო მინდა—
ოფელიას დღე—საოცნებო როგორც მირაჟი.
შემოდგომაზე გაფითრდება ჰაერი წმინდა.
მზეთუნახავი გამოჩნდება ცის დაირაში.

წვიმის ასული—სევდიანი და უწყინარი—
ავდარის წვეთებს ჩამოჰყვება ვით ანგელოსი
იმას მიიღებს აღტაცებით ლურჯი მდინარე.
დაიცრემლება ქანგიანი სახე მდელოსი.

ეს დღე იუქმეთ ჩემთან ერთად—თქვენ, პოეტებო!
პრინცის საცოლოს გაგიჟებულს ეცით თაყვანი.
განმეორებულ იორდანეს ბრბო მოედება:
იქნება ქალი ტალღებიდან ამოსაყვანი.

1921 წ. ვალერიან გაფრინდაშვილი

## მოგონებები და დოკუმენტები

### ნ. გუმილევის წერილი გრიგოლ რობაქიძესთან

ძვირფასო ბ-ნო გრიგოლ!

„უპირველესად მაპატიეთ, რომ მე ასე დაგიგვიანეთ პასუხი. მაგრამ მე მხოლოდ ამ დღეებში დავბრუნდი ტვერის გუბერნიიდან და მაშინვე მივიღე თქვენი წერილი, მე ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენ მომიგონეთ და რომ აპირებთ პეტერბურგში ჩამოსვლას, მე ძალიან გამახარებს თქვენთან შეხვედრა. თქვენმა შეტყობინებამ ქართულ სიმბოლიზზე მე ძალიან დამაინტერესა. რასაკვირველია, გამოგზავნეთ თქვენი სტატია მაზედ და მე აქ სადმე მოვაწყობ. მაგრამ რედაქციას უნდა ჰქონდეს უფლება, რომ სურვილისამებრ შეამოკლოს უამისოდ შეიძლება გაძნელდეს.

რაც შეეხება „ვეფხის მჭამელის“ თარგმანს, დიდი სიამოვნებით ვიკისრებდი თუ იგი არ დამაბრკოლებს ტეხნიკური სიძნელით.

მაშინ მისი გამოცემა შეიძლება „პანტეონში“ თქვენის შესავალი წერილით. მაგრამ უბედურობა იმაშია, რომ **ქართული ენა ძალიან ცუდათ** ვიცი და გადათარგმნას შევიძლებ მხოლოდ სიტყვა სიტყვითი თარგმანით და ვინმე მცოდინარის ჩვენებით.

თქვენი ნ. გუმილევი

ხელნაწერი და წერილები მიგზავნეთ ამ ადრესით: ცარსკოე სელო. ბულვარნაია, სახლი გეორგიევსკის, ნიკოლოზ სტეფანესძე გუმილევს!“

წერილი, თვით გრიგოლ რობაქიძის სიტყვით უნდა ეკუთნოდეს 1911 წელს საინტერესოა, რომ ბალმონტის გარდა ნ. გუმილევიც დაინტერესებული ყოფილა ქართული პოეზიით და ემზადებოდა კიდეც ვაჟაფშაველას „ვეფხის მჭამელის“ სათარგმნელად. გრიგოლ რობაქიძის წერილი „ქართულ სიმბოლიზმზე“ (უმთავრესად ვაჟაფშაველა, რადგან „ცისფერი ყანწები“ მხოლოდ 1916. გამოვიდა) დაიბეჭდა 1912 წ. რუსულ დიდ ჟურნალ „რუსკაია მისლში“. როგორც წერილიდან ირკვევა ნ. გუმილევს მართალია „ძალიან ცუდათ“ მაგრამ მაინც სცოდნია ქართული ენა რადგან გ. რობაქიძის სიტყვით გუმილევი თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა.

რედაქცია

## მუხრან ხოჭოლავა

### 1881—1922 წ.

13 დეკემბერს, თბილისში გარდაიცვალა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის წევრი მუხრან ხოჭოლავა.

მუხრან ხოჭოლავა საინტერესო პიროვნება იყო პარტიის გარეშედაც და ვისაც ჰსცნობია იგი, ის არ დაივიწყებს ჭკუას და ტემპერამენტს ამ კეთილშობილის პატრიოტის და მუდამ მაძიებელი ადამიანისას.

მუხრან ხოჭოლავას გარდაცვალებით ქართველმა საზოგადოებამ ერთი მოწინავე პიროვნება გაჰკარგა.

## ქრონიკა

**ჩვენმა რედაქციამ განცხადება შეიტანა თბილისის აღმასკომში, რათა მალაკანის ქუჩას, რომელზედაც უკანასკნელ პერიოდში ცხოვრობდა მხატვარი ნიკო ფიროსმან, გადაერქვას ფიროსმანის ქუჩა**

„მეოცნებე ნიამორები“ იბეჭდება და პირველ იანვრისთვის გამოვა ვალერიან გაფრინდაშვილის რედაქტორობით „მეოცნებე ნიამორების“ მორიგი № 9. რომელშიც № 8-ის მონაწილეთა გარდა იბეჭდებიან: კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე და ნიკო ლორთქიფანიძე.

**„ლაშარი“** პირველ იანვრიდან გამოსვლას იწყებს ახალ მწერალთა კავშირის ორგანო ყოველთვიური ჟურნალი „ლაშარი.“

**რუსთაველის გეოგრაფია** დღეს საღამოს 7 საათზე, ახალ მწერალთა კავშირის მორიგ ესტეტიურ საღამოზე პავლე ინგოროყვა კითხულობს მოხსენებას „რუსთაველის გეოგრაფია“.

**საისტორიო საეთნოგრაფიო საზ-ბა ქუთაისში**

სახალხო განათლების კომისარის განკარგულებით ქ. ქუთაისში დაარსდა საისტორიო საეთნოგრაფიო მუზეუმი, რომლის დირექტორადაც დანიშნულია ბ ტრიფონ ჯაფარიძე. აღნიშნულ მუზეუმს საფუძვლად უნდა დაედოს ქუთაისის ს ისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოესის კუთვნილი სამუზეუმო კოლექციები და ბიბლიოთეკა. სამეცნიერო დაწესებულებათა მმართველობას დავალა შეიმუშაოს მუზეუმის შტატი და დებულება.

## საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონის ახალი ვარიანტი

მთავრობის მინდობილობით ძველი და ახალი სამწერლო განძეულობის, ქართული მუზეუმისათვის შემგროვებელ მწიგნობარ ისიდორე კვიცარიძეს, ქუთაისში, უპოვიაძველი ხელთნაწერი „ლექსიკონი საბა სულხან ორბელიანის“

ეს ლექსიკონი დიდათ გაირჩევა 1882 წ. რაფიელ ერისთავის რედაქტორობით; გამოცემულ საბას ლექსიკონიდან

იგი დაბეჭდილზედ ორჯერ დიდია. უფრო მდიდარიც.

ხელთნაწერი დიდად განირჩევა დაბეჭდილისაგან და გარდა მისა, იგი წარმოადგენს დიდს საუნჯეს ჩვენის ენათ მეცნიერებისათვის, რადგან ქართული სიტყვების ახსნაში მრავლად არის ნახმარი და ახსნილი ქართული ენის კილო კავებიც, მაგალითებრ მეგრულ სიტყვებით ოსური სიტყვები, ლაზური: სვანური, აფხაზური, ლეკური, ჩეჩნური თუშური და ბევრიც კიდევ სხვანი რაც დაბეჭდილ ლექსიკონში სულ არ მოიპოება.

ეს სიტყვები და შენიშვნები ეკუთვნის თელავის სემინარიის დავით რექტორს ქართველ კალიგრაფს და თავის დროზე ფილოსოფად ცნობილ კაცს სჩანს მას ზემო სხვა და სხვა ენები სცოდნია, ამ ენების მცოდნე კაცებიც ჰყოლია გვერდით და მათის დახმარებით უწერია სიტყვების ახსნა.

წიგნი ეკუთნოდა გრიგოლ და ნიკოლოზ დადიანების ხელთნაწერის წიგნების ბიბლიოთეკას დაცულია იგი სუფთად დაწერილია მესხურის ხელით და მასთან მეტად დიდის სიფრთხილით და ოსტატობით.

საყურადღებო ეს განძი თავის შედგენილობით და მით, რომ კრცელს ტომში გაფანტულია სხოლიები მიცემული დავით რექტორის შენიშვნებით. შენიშვნები შეეხება ჩვენის მეცნიერების ყველა დარგს. არ არის დარჩენილი არც ერთი დარგი მეცნიერების და ფილოსოფიის, რომ მის შესახებ დავით რექტორის ოცი და ორმოცი შენიშვნა არ ჰქონდეს სხოლიო გაკეთებული.

დავსძენთ რომ თუ ეს ლექსიკონი არ გამოსცა მაშინ საჭიროა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აბასთუმანი

აბასთუმანი..
ალლეაა ფიჭვების-დაბურული საკმევლის სურნელობით.
იშვიათი პეიზაჟი
ამ მთების, (რომელსაც უეცრად ვესტუმრეთ
სისხლიან ხელებით
ჩვენ პოეტები:
მე, სანდრო ცირეკიძე და კარმელი)
ყოველთვის მახარებს უბრალოებით,
ვით პრიმიტივი ნიკო ფიროსმანის.
ხშირია მოგონება:
ვარძიის აკროპოლისის,
სადაც მე საყდარში ვლოცულობ დღე და ღამ
და ვარ განმარტოებით, როგორც უძულ ლაფორგის:
,ორგანისტი წმინდა!ღვთისმშობლის ეკკლესიაში ნიცაში,
ო, ვინ გაიგებს ჩემს წუხილს, ჩემ ცრემლებს
აგონიას უკანასკნელს?
ან რომელ ფილისტერს მოუვა თავში იფიქროს:
რომ ჩემს,-უმანკო ბავშის,-
დაჭვარტლულ სულს-
ფოლადის რკალებით ატარებს ღამე—
ალსავსე:
კოშმარულ ჩვენებით;
რომელშიაც მოსჩანან მძორები
თავის მკვლელების,
ყელ დაჭრილ გედების,
დამხჩვალი პოეტების?
(ო, რა ძნელია შეხება სიკვდილის ფრთების!)
ნელი ნელ ხსოვნაში იმართება
ტყვიის ეშაფოტი,
კუპრის წვეთებით როცა სწვავს ჰლექიან სხეულისას!..
მძაფრი გახელებით ახმაურდებიან
ჩემ წინ უფსკრულები-
ჯერ კიდევ უცნობი ქვეყნების
ვარსკვლავების
და პლანეტების
(ალბად წამების ჯვარედინ გზაზე
გრძელ სპირალს გაივლი სული,
მაგრამ მოსვენება მაინც არ გეღირსება!)
.... დროა დავანებო თავი ყველაფერს!
ან კი რა საჭიროა ასეთი ფიქრები!
მე ახლა ვცხოვრობ ქვეყანაში
სადაც:
მოულოდნელად მაღელვებს ოცნება:
დანგრეულ საყდრების,
მაღლარის რტოების,
მარმალილოს ჩუქურთმებზე:
ფიღის და ბისერის!..
უმეტეს ჰერეთის ღვინისა
დღეს მათრობს: გენია რუსთაველის,
იისფერი თვალები რუსუდანის
და დროშა გიორგი ლაშარის!
(რამდენჯერ მინდოდა ამ დროშით ლაშქრობა,
როგორც ერეკლეს დამერბია მტრის ურდოები!)
და ახლა სარეცელზე
ხელებით მჭექარი,
სისხლს ვარწყევ და ვკვდები ისე ვით ლაჩარი!
პოეტი რაინდი და მამულიშვილი.
ძმებო! თუ ასეთია
ბედი პოეტების—
გთხოვთ ნუ დაიშურებთ
ჩემთვის პანაშვიდს,
შენდობა შეუთვალეთ ჩემს წამებულ სულს!
ეს ლექსიც:
ასეთი უბრალო და სადა, რომელსაც აკლია შეგნება
ბანალურ რითმების
წაკითხვის შემდეგ,—
დახვიეთ და გადაჰყარეთ!

ივლისი.
აბასთუმანი-სანატ.

ვასილ გორგაძე.

---

რომ გამორკვეულ იქმნეს დავით რექტორის ცნობები და სიტყვები და ეს მაინც იქმნეს შესწავლილი ჩვენის ენათ მეცნიერებისგან და ცალკე წიგნად გამოცემული.

მეტი არ იქმნება რომ ჩვენის საუბრის დასამტკიცებლად მოვიყვანოთ ერთი შენიშვნა დავით რექტორ სა.

,,დათვი არის მხეცი, მძინვარე დათვს უწოდებენ ვარსკვლავსაც, რომელსა ზედა ხედვენ ცანი დათვს უხმობენ მდაბიონი ბულაჟრსაცა, ასევე დათვი არის ჩრდილო კერძო მარადის და არიან შვიდნი ვარსკვლავნი, რომელნიც ფილოსოფებთაგან იწოდებიან პლეადნი. კვალათ არიან ჩრდილოეთ შვიდნი ვარკვლავნი, პლეადისებრ მდგარნი და ამას უწოდებენ მეორესა პატარა პლეადასა, კვალათ ამავე უწოდებენ ქართველნი მდაბიონი რვალსა დავით რექტორი.

—ზ. ჭ.

# გადაკიდებულნი.

შემოდგომის საგანძურიდან მოძებნილი, სევდიანი ოქრო უხვად გადაჰყრობა გაკაფულ, სისვ ტყეს.

ტან-მორჩილი შვინდის ხე თვის ნაყოფს აქუფრიანებდა,

იგი ცოტაზე განს გასდგომოდა ძეწნასა და კაკნატელას.

დაბალ ბუჩქებში ყელი ლამაზად მოეღირა.

მაგრამ თავს წასდგომოდა

და გარეშემო ხუთ სვეტად ღმოცენებული ეკლიანი ასკილი, გუმბათად შეკრულიყო შვინდის კენწეროზე.

ასკილს სამაისო, მწვანე სამოსი შემოძარცული ჰქონდი.

მოლოდ მტკიცედ შენასკული წითელი კოკრები გულღიათ და უხვათ გამოეფინა.

ისინი თითქო ერთი მეორეს არ ეკარებოდნენ—

შვინდი და ასკილი —

მხოლოდ ურთიერთზე კი იყვნენ გადაკიდებულნი.

ეს არ იყო საყვარელთა გადახვევნა.

არ მოსჩანდა ალტკინებული ლტოლვა ერთი მეორისა.

შვინდი თავისთვის იდგა თითქო.

ასკილსაც მხოლოდ მოშორებიდან დაეწყო მისი კამარე.

მათ წინაშე იდგა ფიქრიანი ჭაბუკი:

ეუცხოვა!

— საოცარი დასანახია. თვალთათვის ლამაზი. სალხინო თალარსა ჰგავს. ეს ქუფრიც და ეს წითელიც შვინდის ჰის მოოქვრილ ფოთლებთან და ასკოლის ხორკლიან მომწვანო მსხვილ დუროებთან, თვალის დამტყვევებულია. მხატვარს იამება. მეც განცვიფრებით გამაჩერა ამ სანახაობამ, მაგრამ რა აქვთ საერთო ასკილსა და შვინდის?... ეს მათი ერთი მეორის გადაკიდება ხომ მხოლოდ ჩვენი თვალის სეირია. მათ ხომ ეკითხებოდესო, ვითომ უნდათ ასეთი მიახლება ერთი მეორესა? შვინდი რომ მარტოკა იდგეს და ლაღად შესცქეროდეს მოკრიალებულ ფირუზისფენა თალსა, ან ასკილსაც ცალკე ჰქონდეს დადგმული თვისი კარავი, რა დაშავებოდა? თუ ასე უჯობთ?... უნდა ეკითხოთ...

ჭაბუკი მიაჩერდა—

ასკილსა და შვინდს.

დიდ-ხანს იყო ასე, მაგრა მ...?

შალვა დადიანი.

---

ისტორიული მასალები

# კანცლერი—სოლომონ ლეონიძე.

ო რ ი ს ი ტ ყ ვ ა

ეს ორი სიტყვა, რომელიც ეკუთნის მეფე ირაკლი II და იმერთა მეფე სოლომონ II კანცლერს—სოლომონ ლეონიძეს, აღმოჩნდა გიორგი ლეონიძის საგვარეულო ქაღალდებში გადაწერილია 1854 წ. სვიმონ ლეონიძის მიერ მხედრულათ დავით გარესჯის უდაბნოში.

პირველი სიტყვა ეკუთნის 1798 წ. და გამოწვეული იმპერატორი ქალის ეკატერინე II ის გარდაცვალების გამო იგი სამძიმარის წიგნია ირაკლი II ისგან,—შედგენილი მისი კანცლერის მიერ.

მეორე სიტყვა ეკუთვნის 1804 წ. 12 იანვარს, როდესაც სოლომონ ლეონიძე იმყოფებოდა პეტერბურგში როგორც იმერეთის სამეფოს სრულ უფლებიანი წარმომადგენელი. სიტყვა თქმულია აუდენციაზედ. როგორც ცნობილია, ალექსანდრე I განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდა ამ „ჭკვიან დიპლომატს", რომლის საგანგებოდ გადაღებული პორტრეტი ეკიდა თავის კაბინეტში. სურათი დღეს ერმიტაჟში ინახება.

ქართულმა ლიტერატურამ დღემდის სოლომონ ლეონიძის ორატორიებიდან იცოდა მხოლოდ ,,გლოვა ირაკლი მეფისა'' თქმული მცხეთის ტაძარში 1798წ. დღეს მის ერთად ერთი ორატორულს ნიმუშს ემატება ეს ორი ახლად აღმოჩენილი სიტყვაც. როგორც წინად ამტკიცებდა პროფ. ალ, ხახანიშვილი და ახლაც ირკვევა სოლომონ ლეონიძეს ეკუთვნის აგრეთვე ,,გლოვა ირაკლისა'' ლექსად: ,,ალსდეგ'' გმირო ნუ გძინავს. (ამაზედ დაწვრილებით ცალკე).

მართალია, ეს მასალა საგაზეთო არ არის, მაგრამ შესაფერი ჟურნალის უქონლობის გამო და დაუკარგველობისთვის, ჩვენ მაინც ვაქვეყნებთ.

რედაქცია.

I.

## რუსთა ხელმწიფესთან სამძიმარის წერილი.

ყ-დ უგანათლებულესსა დიდსა იმპერატორსა პავლე პეტროვიჩსა და მპყრობელსა ყოვლისა როსიისა და სხვათა და სხვათა

ყ-დ უმოწყალესსა ხელმწიფესა

საუკუნემან ამან საგლოველმან და დიდებულმან ყოველთ სიტყვიერთ ბუნებათა დიდებულისა მის ხელმწიფისა დიდისა ქვეყნისაგან წიაღთა ზეცისა საუნჯემან და დიდისა იმპერატრიცა ეკატერინისაგან უბედნიერესითა ყვავილოვნებითა დატკბობილმან როსსიისა ვრცელმან იმპერიამან მოჰფინა მზესა ქვეშე ნისლი მწუხარებისა, ვინაითგან ღმთავრობითა განჩინებითა დიდმან იკატერინა განავრცელა სტუმრობა საღმრთო ხელითა ანღელთათა წარიგრაგნა საღმრთო იგი. (და?) სიტყვიერი, რომელიც ოთხ კერძო ქვეყანასა ზედა ჰქუხდა ძლიერებითა.

სატირთოსათვის დადუმებისა უდიდებულობისა მისისა სახსოვრად და საუკუნოდ იგლოვს ქვეყანა, ვინათგან სადღესასწაულო იგი თავმდგმულობა ქრისტიანეთა აჩრდილთ კერძო თხემსა ზედა სიონისასა გაღლვებელი შვენებათა, მზე იგი ალმიანათა მოაკლდა თვალთაგან მედღესასწაულეთა ძეთა თვისთა ხელმწიფე თვითმპყრობელო დედა საზოგადო.

4.

იხარებს ეკლესია ვინათგან ალვსტემრთა (?) ხელმწიფეთაგან პატივსაცემლისა როსსიისა უმაღლესისა ტახტისაგან კათოლიკე ეკლესიამან ცხებულსა დიდს განუმზადა ამბონი თვისი სტუმრობისა მის შორის უსამღვდელოესის გვამისათა.

5.

რომლითა ძეთა თანა რუსეთისათა ნათესავნი ქართლოსიანნი მედღესასწაულენი უდიდებულესობისა მისისანი მიგვცა ერთბამად მწუხარებისა საგლოვსა უფსკრულსა მღალადებელნი ცრემლითა დავავლდებთ ერნი ქრისტიანენი უმოწყალესსა ხელმწიფესა და საზოგადოსა დედასა.

6.

გარდა დასასრულსა მწუხარებისასა დასაბამად საზოგადოსა მხიარულებისა დღესასწაულობს ყოველი ივერია, რამე თუ განგებამან საბაოთესმან სიმტკიცედ სჯულთა დაცვად ეკლესიათა განვრცელებად იმპერიისა საუკუნოდ ნეტარებისა ღირსისა დიდისა იმპერატრიცა ეკატირინას სახელმწიფოთა, შრომათა დიდმა გვირგვინად იმპერატორება უდიდებულესობისა უქვენაესისა და საზოგადთსაგან დედისა დაობლებულსა იმპერიასა აღუდგინა მთა მოწყალებისა საზოგადოდ.

რომლისათვისაცა უმდაბლესად თაყვანისცემით მომლოცველნი და მედღესასწაულენი უმაღლესსა ტახტსა ზედა აღსავლისა უდიდებულესობისა თქვენისანი მეფობა და სამეფო ივერიელთი შევვედრებთ თავთა ჩვენთა მფარველობასა ქვეშე იმპერატორებისა თქვენისასა და უერთგულესისა გონებისა ჩემისა მსხვერპლად სისხლადმდე შემწირველი ვეგებები ნიადაგ.

II.

## ალექსანდრე პირველს

„ალექსის ძეს პეტრეს პირველსა შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზ-ა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას:

მის ზეციერისა არხიდექტურისაგან დაფუძნებულსა სახლსა შინა პეტრე პირველისასა. პირველი ალექსანდრე იშევ ზეცისაგან ვ-ა ანგელოსი და იშევ იმპერატრიცასაგან ვ-ა იმპერატორი. ნეტარ არიან ცანი ანღელ სახედ შემამკობელ შენი და ნეტარ არს ქალი იგი, რომლისაგან ხელმწიფე ხელმწიფეთა. ნეტარ არს საუკუნე ესე იმპერატორებისა შენისაგან აღყვავებული. და ნეტარ არიან ძუძუნი როსსიისანი, რამეთუ ჰპოვეს მამა ჭაბუკთა მაგალითი ბრძენთა სასყიდელის გზა და გლახაკთა სიმდიდრე. მე მხედველი ულრმესისა მოხუცებულობისა ახალსა სიჭაბუკესა შინა შენსა დიდო იმპერატორო წინა მაუწყებელ ვარ არ კეთილსა საფუძველისა დაწყებამან პეტრე პირველისამან იმპერატორებითა შენითა მიიღოს უკეთილესი დასასრული და იქმნება ალექსანდრე პირველი, ალექსანდრე დიდი, არა მაკედონელი, ვინადგან ჯვარი არს საფუძველი სკიპტრისა და სკიპტრა ზეციერი, ხოლო მაკედონელსა არა აქვნდა საფუძველი სკიპტრისა ვინადგან ცარიელ იყო ხელი მისი მეორე ჯვარისაგან და დიდებულ იყო სკიპტრა მისი უსაფუძვლოდ მეფობითა ქამიერითა.

გარნა შენ შორის ვხედავ უპირველესსა რამე თუ რომელი იგი დასაბამითგან მრავალ გზის შეცოდებულ იყო სკიპტრა ჯვარისა მიმართ. და მრავალსა საუკუნესა დასჯილ იყო სკიპტრა ჯვარისაგან, შენ დახსენ სიძულვილი შორის სკიპტრისა და ჯვარისა. შენ მიერ საყვარელ ჯვარისა იქმნა სკიპტრა შენი. ორნი ესე თაყვანის საცემელნი და სადიდებელნი მეგობარნი ხელთა შინა შენთა განისვენებენ.

ერთითა გიპყრიეს ჯვარი, რომლითა იდღესასწაულები სიძე ზეციერისა ამბონისა, და მეორითა გიპყრიეს სკიპტრა, რომლითა თვით შენ ადიდებ საიმპერატოროსა ტახტსა რუსეთისასა. და თუ ვითარ წინა წარმომიდგენს მე ხილვა იმპერატორებისა შენისა გამოვეძიე ყოველთა საუკუნეთა შინა დიდთა იმპერატორთა რიცხვთა შორის და მე ვიხილე იმპერატორება სიჭაბუკესა შინა, ვითარცა ხვამალდნი დიდსა ღელვასა შინა. გამოვიძიე სიჭაბუკესა შინა შენც და ვიხილე სიღრმესა შინა გონებისა შენისასა სივრცე იმპერატორებისა, ვითარცა ოკიანესა შინა მცირე ნავი ყოვლად ბრძნითა მენავეთ მოძღვრებითა შენითა მყუდროებით მცურავალი.

გამოვიძიე სიჭაბუკესა შინა შენსა და ვიხილე კვალადცა ნივთი საჭიროდ შესაბამი კეთილმოქმედებისა, რომელსა ვითარცა ხელმწიფესა და ვითარცა მამასა საზოგადოსა. საიმპერატორო შიში შენი დაგიმორჩილებიეს სიყვარულისადმი საზოგადოსა ერისაგან (ფსალ) „რომელნი მარადის პირითა და გულითა ერთბაშად გაკურთხევდენ. წრფელ იყვნენ გულნი მათნი და პირითა არა გეცრუვნეს შენ". და მე მგრძნობელი ბუნებითა და ზეციერთა ამათ ნიჭთა თან შობილთა შენ შორის დიდო იმპერატორო დღესასწაულობით მოგილოცავ, რომელსა ვსასოებ ულრმესითა განსჯითა საქმეთა გამომავალთა. ვსასოებ, რამე თუ სიჭაბუკე შენი განავრცელებს იმპერიასა და იწყებს ელვასა საჭურველი შენი ჩრდილოეთით სამხრეთად.

მამაკაცობა შენი განახშირებს ქუხილსა დასავლით აღმოსავლეთად და დაიპყრობს ერთა უცხოთა და ესრეთ განგრძელდების ქუხილი და ელვა საჭურველთა შენთა უშორესთა კერძოთა. ხოლო მოხუცებულობა სავსე ძალითა და სიბრძნითა და სიმდიდრითა დაუტევებს მრავალთა ერთმთავრობით შეერთებულთა სკიპტრათა საუკუნესა ნეტარებისა შინა.

ნეტარი ესე ოქროსა საუკუნო იმპერატორებისა შენისაგან განშვენებული აღყვავებული და დატკბობილი ითხოვს საჭიროდ ბრძენთა მით მამაკაცთა პლატონს, ღომერის სოლონს და ვირგილიოს, ციცერონ, კურციოსრე ოვიდიას, ცხრათა მათ მუზთა იუპიტეროვანთა. შეკრებულთა პარნასის მთასა ზედა რათამცა განყოფილთა და ბუნებითა ნიჭთა იმპერატორებისა შენისათა მიაწერენ თითოეულთა ღმერთთა მათთა შვენიერებისა სიბრძნისა და სიმხნისათა: და სტიხის მოქმედებდენ მსგავსებათა, ულისეს, ღერაულეს, ტეზეო, ახილეო და იაზონს, გარნა იგინი სტიხთა თვისთა სწერდენ მრავალთა ფურცელთა შორის, ხოლო დიდებული სახელი შენი ალექსანდრე პავლოვიჩ და დიდებულნი საქმენი შენნი უაღუსტესო კეისარო აღიწერების ორთა ფურცელთა ზედა პირველსა ფურცელსა ცასა ზედა და მეორესა ფურცელსა ქვეყანა ზედა ორნი ესე ფურცელი საუკუნოდ სახელსა შენი მიუთხრობენ, მიკვდავებასა შენს უკვდავჰყოფენ არღარა დაიფარავს პირისაგან ქვეყნისა, ვ-ა სხვანი და დიდნი მამაკაცნი ცხოველ იქმნები ცათა შინა, ვითარცა ანღელი ზეციერი. და ქვეყანისა ზ-ა ვითარცა ღირსი ხსოვნისა იმპერატორი დიდი.

ამიერთგან დაიცევ ჯვარითა ჰეშმარიტება და სკიპტრითა კეთილმოქმედება და ამით უძლოდე ერსა შენსა, ვითარცა მოისე ისრაილთა და ვითარცა ისე ნავეს ძე იქმენ. იქმენ ამაღლებული სკიპტრითა, ვითარცა ალექსანდრე ბერძენთა შორის და ჯვარითა, ვითართა იუსტინიანე მორწმუნეთა იმპერატორთა შორის, ვ-ცა ავღუსტ რ-ლი მარკ ავრილია. ანტონინ მშვიდი. და ალექსანდრე სევერი რომაელთა შორის და კირ დიდი პერსიელთა შორის, იქმენ ბრძენ, ვ ა სოლომონ მეფეთა შორის, მშვიდ ვითარცა დავით ცხებულთა მ-რ, ნათელ ვითარცა მზე პლანეტთა შორის, საწადელ ვ-ა ოქრო მიწათა შორის, მართალ ვითარცა ღმერთი ღმერთა შორის და საყვარელ ვ-ა ქრისტე კაცთა შორის.

განიგრძელოს ნებამან მაღლისაგან დიდებისა შინა შეუძვრელსა იმპერატორება შენი და შთამომავლობათა შენთა განუწყვეტლად და საუკუნოდ ამინ.

დასასრულ ყ-დ უმდაბლესად განვაცხადებ: შეგიყვარა შენ სარწმუნოდ სულმან ჩემმან პორტრეტი არს დიდებულებისა თქვენისა, გული ჩემი, რომლისა ზედა გამოიწერა უცხოთა ტყვემყოფელი ხატი მლვთისა. ანღელი სახე თქვენი ვიდრემდის ცხოველ ვიყო, მიყვარს სიცოცხლედ ჩემდა დიდებულება თქვენი და ოდეს მიწოდოს ზეციერმან ნებამან, შთავიდე მიწად მირონით ულრმესისა ერთგულებისა თქვენისათა შემურვილი ყოვლადდ უმოწყალესო ხელმწიფეო."

თავადი იმერეთის პოლკოვნიკი სოლომონ ლეონიძე, ანდრია—თელავის კარის დეკანოზის შვილისა შესხმით მირთმეული ალექსანდრე იმპერატორთაგან 1804. იანვრის 12.

---

რედაქტორი: გიორგი ლეონიძე.

## მეცხვარეთა ამხანაგობა

# „მწყემსი“-ს

## გამგეობა

აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ 1923 წლის 23 იანვრისათვის (ძველი სტილით 10 იანვარი), ქალაქ ტფილისში დილის 10 საათზე დანიშნულია

# რწმუნებულთა წლიური

## კრება

თანახმად წესდების მე-19, 21, 24 და 25 მუხ. განსახილველია:

1. ანგარიშების დამტკიცება 1921 წლ. პირველ თიბათვიდან 1922 წლის პირველ მაისამდის.
2. გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. მომავალი მოქმედების გეგმა და სავარაუდო ხერჯთ-აღრიცხვა.
4. საბჭოს დებულება და წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა და დამატება.
5. გასამრჯელოს დანიშვნა გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრებისთვის.
6. ინფორმაცია ანგარიშების მდგომარეობისა 1922 წლ. 1 თიბათვიდან 1923 წლ. 1 იანვრამდის. საძოვრების საკითხი საქართველოში და სხვა მიმდინარე საკითხები.
7. ახალი წევრების დამტკიცება.
8. გამგეობის წევრის არჩევა თანახმად წესდების მე-31 მუხლ., კ. ნ. აფხაზის მაგიერ.
9. საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები თანახმად წესდების მე-39 მუხლ.

თუ წესდების 24 და 25 მუხლების თანახმად, დანიშნულ დღეს, წევრთა აღნიშნულ რიცხვთა დაუსწრებლობის გამო, კრება არ შესდგა, კრება მოწვეული არის 24 იანვრისთვის (ახალი სტილით), დილის 10 საათზე, იმავე საკითხების განსახილველათ, და ეს კრება კანონიერია რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

„მწყემსი“-ს გამგეობა.



## პირველი ხარისხოვანი სასტუმრო

# „ორიანტი“

ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პროსპექტი № 9.

**საუკეთესო ნომრები, ვანა, ელექტრონის განათება, ტელეფონი.**

**სასტუმროსთან რ ე ს ტ ო რ ა ნ ი**

ევროპიული და აზიური სამზარეულოთი, საუკეთესო

## მზარეულთა ზედამხედველობით.

საუზმე, სადილი, ვახშამი, სასმელები. სადილები ეძლევა ყველას 2—5½ საათამდე

ფასები დაკლებულია.



## სააქციონერო

## რუსეთ-კავკასიის სავაჭრო საზ—ბა

# „რუსკავტორგ“

**ძირითადი თანხა 800,000 მანეთი ოქროთი**

აუწყებს სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აგრეთვე კერძო საწარმოო დაწესებულებებს და პირთ, რომ ა. წ. 24 ოქტომბრიდან საზოგადოება

## აწარმოებს ოპერაციებს

**ყიდულობს და ჰყიდის:**

ფქვილს, მარცვალს, აგრეთვე რუსეთის მრეწველობის ფაბრიკატებს: მანუფაქტურას, გალანტერიას, ჰურჭლეულობას, ტყავისა და სხვა საქონლებს.

**იძენს ექსპორტისათვის რუსეთში:**

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ნედლეულსა და პროდუქტებს: კაკალს, მატყლს, ბამბას, ხილეულობას, ღვინოს, დაფნის ფოთოლს, ცხვრის ტყავებს და სხვა.

**ოპერაცია სწარმოებს:**

ნაღდი ანგარიშით საკომისიო საფუძველზე და მოგებაში ორივე მხარისთვის წილის დადებით.

**საზოგადოება კისრულობს:**

სამრეწველო ტრესტებისა და სინდიკატების სავაჭრო წარმომადგენლობას.

**საზოგადოებას აქვს:**

განყოფილებანი და წარმომადგენლობანი ბაქოში, ერევანში, როსტოვში და მოსკოვში.

**წინადადებებით გთხოვთ მიმართოთ: თბილისი, შტაბის ქუჩა, № 6, ტელეფონი 4—20.**


## განცხადება

# ს. ს. ს. რესპუბლიკის განათ. კომისარიატისა

სახელმწიფო გამომცემლობა ამით აცხადებს რესპუბლიკის ყველა სასწავლებლების საყურადღებოდ, რომ სახელმწიფო გამომცემლობის წიგნის მაღაზიაში რუსთაველის პროსპექტი №№ 9-11 და პლეხანოვის 3) მიღებულია გასაყიდათ შემდეგი სახელმძღვანელოები:

1. კიკვაძე—ჩვენი სკოლა მე 3. წ.
2. ქუმბურიძე—თაიგული ბუნების-კარის მაგიერ
3. შაფაქიძე—თვალსაჩინო გეომეტრია.
4. საზონოვი—ქიმიის სახელმძღვანელო ტეხნიკუმებისათვის.
5. რაზმაძე—ინტეგრალური აღრიცხვის კურსი ნაწ. 1.
6. ოცხელი—ელემენტარული გეომეტრია.
7. ცაგარეიშვილის—გეოგრაფია 1 ნაწ.
8. ოცხელი—ელემენტარული ალგებრა 1 ნაწ.
9. ცაგარეიშვილის—გეოგრაფია 2 ნაწ.
10. რობაქიძის—სამშობლოს აღწერა.
11. ჯანელიძე—ფიზიკა 1 ნაწ.
12. ქვარიანი—საქართველოს ისტორია.
13. ხმალაძის—არითმეტიკული კრებული.
14. რუსკოე სლოვო 2 ნაწ.
15. გუთანი.
16. გორგაძე—საქართველოს ძველი ისტორია.
17. ოცხელი და ნიჟარაძე—ფიზიკა 2 ნაწ.
18. კირიონი და ყიფშიძე—სიტყვიერების თეორია.
19. კელენჯერიძე—სიტყვიერების თეორი
,, ქართული ლიტერ. ისტორია.
21. დავ. დონდუა—ზოოლოგია.
22. გორგაძე—ახალი მწერლები 1 ნაწ.
23. ,, ,, 2 ნაწ.
24. შევარდნაძე და სვანიძე—გერმანული სახელმძღ.
25. ზაალიშვილი—ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგ.
26. ჩხენკელი—ბუნება 2 ნაწ.
27. ხმალაძე—არითმეტიკული კრებული 3 ნაწ.
28. ,, ,, ,, 1 ნაწ.
29. ჩიმაკაძე და შუბლაძე—არითმეტიკ. კრებ. 1 ნაწ.
30. ,, ,, 2 ნაწ.
31. ,, ,, 2 კლასისათვის.
32. ბერიძე—ლოგარითმების ცხრილი.
33. ნიკოლაძე—საქართველოს ისტორია.
34. ჭავჭავაძე—ქართული ლიტერატურა.
35. ხუნდაძე—ქართული ლიტერატურა.
36. ,, გრამატიკა.
37. თორაძე—ფრანგული ენის სახელმძღვანელო მე 3 და მე-4 კლასისათვის.
38. ჯორჯიკია—კარლოს მე-2 ისტორია.
39. ნალი—გერმანული სახელმძღვანელო.
40. ჯორჯიკია—კარლოს მე-2 ისტორია.
41. წერეთელი—ტერმინოლოგია.
42. შუბლაძე—სახმო წესის კითხვის სწავლა.
43. თორაძე—ბესიკის ცხოვრება.
44. ბარათაშვილი—საქართველოს ისტორია.
45. ,, ქართული ნოტები.
46. ხახანაშვილი—ქართული სიტყვიერების ისტორია.
47. უზნაძე—ძველი ისტორია 2 ნაწ.
48. ჩინჩალაძე—მოკლე ლათინური გრამატიკა.
49. ავალიშვილი—არითმეტიკული სახელმძღვან. 1 ნაწ.
50. აკაკი—იგავ არაკები.
51. ნათაძე—ინგლისის ისტორია.
52. ბარნოვი—თხზულებანი ტომ 1.
53. ლილიონი—მოთხრობები.
54. წერეთელი—კიკოლიკა ჩიკოლიკა.
55. რუსთაველი—ვეფხვის ტყაოსანი.
56. არაგვისპირელი—თხზულებები.
57. ლოსაბერიძე—საექიმო მეცნიერება.
58. წერეთელი—რუხი მგელი.
59. დონდუა—ჰაერი და სითბო.
60. შარაშიძე—მეხის ამბავი.
61. შამშინოვი—ხატვა-ხაზვის ელემენტარული კურს.
62. დედა-ენა 2 ნაწ.
63. წერეთელი—მსოფლიო ისტორია 1 ნაწ.
64. ,, ,, ,, 2 ნაწ.
65. ,, ,, ,, 3 ნაწ.
66. ივალიანი—მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო მე წ.
67. ივალიანი მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო მე-3.
68. შაპოშნიკოვი და ვიალცოვი—ალგებრული და ამოცანათა კრებული.
69. დათეშიძის—არითმეტიკული ამოცანათა კრებული 1 ნაწ.
70. ,, ,, 2 ნაწ.
71. კოსონგოვი—ფიზიკა.
72. ზედგინიძე—ახალი ქართული ანბანი.
73. დავ. დონდუა—ჰაერი, წყალი და დედამიწა.
74. ,, ბოტანიკა.
75. ჯავახიშვილი—საქართველოს მოკლე ისტორია.
76. ბუციშვილისა—არითმეტიკული ამოცანათა კრებული.
77. ნუცუბიძე—ფილოსოფიის შესავალი 1 ნაწ.
78. ნუცუბიძე—ლოღიკა.
79. ნათიშვილი—ადამიანის ნორმალური ანატომია.
80. კაკაბაძე—საქართველოს შემოკლებული ისტორია.
81. გველესიანი და უზნაძის—ახალი ისტორია.
82. ვარლამ დონდუა—საშუალო საუკუნეთა ისტორია.
83. წერეთელი—ალგებრული ამოცანათა კრებული 2 ნაწ.
84. ოცხელი—ქართული ქრისტომატია.
85. ანდრია რაზმაძის—ინტეგრალური აღრიცხვის კურსი ნაწილი 1 განუსაზღვრელი ინტეგრალები.

მაღაზიაში მოიპოვება მრავალი სახელმძღვანელოები რუსულ სკოლებისათვის, სკოლებს და განათლების განყოფილებებს, რომელნიც წიგნებს შეიძენენ ბითუმათ ეძლევა 5—30 პროც. წიგნები ფას დაკლებით.


## მ. ს. ფ. ს. რ.

## რეზინოტრესტის ტფილისის განყოფილება

სოლოლაკის ქუჩა, № 4 ტელეფონი 4—86.

გამოშვებულია ბითუმით ვაჭრობისათვის დიდძალი:

ბითუმით ვაჭრობისათვის!

კალოშები,

საპარზო ავტოს შინები,

ავტოშინები, კამერები,

რეზინის ლანჩა,

ტეხნიკური რეზინა

აზბესტის ნივთები

ბითუმით ვაჭრობისათვის!

ქალაქელ მეიდეველების ხელის შესაწყობად „რეზინოტრესტის“ საბითუმო საწყობთან ნოემბრის 1-დან გახსნილია ცალობით ვაჭრობა კალოშებისა და ტრესტის მიერ დამზადებულ სხვა ნაწარმოებისა.

მე მოგიწოდებთ თქვენ გაასწოროთ ყოველი ის, რასაც ადმინისტრაცია ფრთხილი სიტყვით აღნიშნავს: „ძველი წესები“ ბრძოლა იქნება დაუნდობელი. თქვენ უნდა თავს დაესხათ მონათმოვაჭრეებს თქვენი ბრძოლა მათთან უძნელესია ვიდრე წისქვილებთან. მაგრამ თქვენი მიზანი მშვენიერია მაშ ხელი მოჰკიდეთ საქმეს, გადაუდებლივ! საფრანგეთი მოითხოვს ამას.

ამ რომანის მოქმედების ადგილია უბანგი-შარი იმ ოთხთაგანი კოლონიის, რომელიც ფრანგულ ეკვატორიალურ აფრიკის საგენერალ-გუბენატორის საქვემდებაროს შეადგენს.

შესა ლის ბოლოში რენე მარან ამბობს: „ეხლა, როგორც იტყვის ვერლენ თავის poemês saturniens terza zima ფურცლებზე.

„ეხლა გაქანდი ჩემო წიგნო, შემთხვევის ნებით“.

ბორდო, 5 ნოემბერი 1920 წ.

**რენე მარან**

## თავად დარიანს.

წკრიალა ზარები. წკრიალა ზარები
ძველი წერილები დღეს ჩემთან არიან
მთვარის ცივ სხივები მე გავებანები
და მოგელოდები თავადო დარიან.
ჩვენი მზე წარსული, სილურჯე მთვარისა
ყოველი დაბრუნდა და არის სიმწარე
მე ერთხელ ჩამოგცდი ცისფერი დარდითა
უფალო მაღალო, ორივე გვიფარე.
მე მუდამ ვარ ჩუმი, არიან წამები
როდესაც მოდიან და ვხვდები ალებით
მე ცოტა მიცნობენ, ვარ ხომ სხვანაირი
ხელებზედ მკოცნიან ყველა დავალებით.
ძვირფასო თავადო, წახვედი შორს ჩემგან
ძველი წერილები დღეს ჩემთან არიან.
წკრიალა ზარების ხმაური დამჩენდა
ძვირფასო. მოგელი თავადო დარიან.

**ელენე ბერიშვილი**

# ნიკო ფიროსმან

**წ ე რ ი ლ ი ქ ი ზ ი ყ ი დ ა ნ**

**მასალები ბიოგრაფიისთვის შეკრეფილი**

ჩვენმა რედაქციამ, პირველმა, თავს იდვა ინციატივა ნიკო ფიროსმანის საბიოგრაფიო მასალების შეკრეფის.

რედაქციის დავალებით გაგზავნილ კორესპონდენტებიდან უკვე მოგვივიდა საკმაო მასალა რომლის ნაწილი უკვე გამოვაქვეყნეთ, ნაწილი რედაქციის პორთ ფელში ინახება. ქ. ნინა თარიშვილის მიერ ქიზიყიდან მოწვდილი ცნობები, ფიროსმანის ცხოვრების პირველი პერიოდიდან, რომელსაც აქ ვბეჭდავთ, დიდ ინტერესს არ არი მოკლებული. სახელმწიფო გამომცემლობის დავალებით, ამ ჟამად ნიკო ფიროსმანზე დიდს მონოგრაფიას ამზადებს ბ-ნი ტიციან ტაბიძე და ყოველივე მასალები მას გადაეცემა. რედაქცია კიდევ სთხოვს თავის კორესპონდეტებს, გააგრძელონ თავისი მუშაობა ნიკო ფიროსმანის ბიოგრაფიული ცნობების შეკრების გარშემო და გაზ. „ბახტრიონის“ სახელზე დაუყონებლივ გამოგზავნონ,

დღეს სოფ. მირზაანში სცხოვრობს 30 კომლი ფიროსმანიშვილის გვარის. მათ შორის ნიკო ფიროსმანიშვილის დის ფეფეს ოჯახი.

ფეფეს ნაამბობი:

„შვიდი წლისა იქნებოდა ნიკო (მე იმაზედ უფროსი ვარ 4 წლით) როცა დედ-მამა დაგვეხოცა მამა ჩვენი ასლანი შინაური მიწის მომუშავე გლეხი იყო, სხვა არაფერი ხელობა იცოდა.

დედას თეკლეს ეძახდნენ. მხნე და გამრჯე ადიმიანი იყო. რვა წლის ნიკო ჩვენმა სიძემ, ალექსიმ წაიყვანა ქალაქში (თბილისში) და მიაბარა პურის ჭამაზედ ერთს სამხედრო პირს გვარად ქალანთაროვს.

ამასთან დარჩა თექსვმეტ წლამდე. 16 წლისა რომ გახდა ქალანთაროვს ეკითხა რომელი ხელობა უფრო მოგწონს რომ ის შეგასწავლოო. ნიკოს ეთქვა: მხატვრობა მინდაო, მაგრამ ქალანთაროვს არ ერჩივნა და ბოლოს რკინის გზის კონდუქტორად შეუყვანია. 7—8 წელიწად. მსახურებდა, მაგრამ ავად გახდა, სამსახურს თავი დაანება და ღვინის სარდაფი (პადვალი) გახსნა. ჩვენი მეზობელი დიმიტრი ალულიშვილი ჩავიდა თბილისში, ნიკო ნათლიად გაიხადა და პადვალშიც გაიამხანაგა. კარგა ხანი ერთად ვაჭრობდნენ. სწორედ ამ დროდან დაიწყო ნიკომ მხატვრობა. დიდ ფულს იღებდა. ხშირად მეც მიგზავნიდა საჩუქრებს. მთელი თავისი ქონება ალულიშვილთან ჰქონდა, რომელსაც ნიკომ თავისი საკუთარი ხარჯით გაუკეთა სახლი სოფ. მირზაანში. თითითონაც ხშირად ჩამოდიოდა სოფლად ეპატიჟებოდა მეზობლებს და აქეიფებდა. ზოგს ფულსაც აძლევდა. ერთხელ ქალაქში გამხდარიყო ავად და ისე შეწუხებულიყო, რომ რაც ბანკში ფული ჰქონდა ჩემს სახელზე გადმოეცა, მეც დამიბარა. ჩაველი მაგრამ ის უკვე კარგად გამხდარიყო დაბრუნებისას ბლომად მომცა ფული. აი ეს სახლი რომელშიაც ეხლა ვცხოვრობ იმ ფულით გავაკეთებინე. ჩვენი სახლის კედლები ნიკოს კაცის ტოლა ტილოს ნახატებით სავსე იყო, მაგრამ ჩრიჩილმა გაგვიფუჭა და გადავყარეთ. ნიკოს ცოლი არა ჰყავდა, ურჩევდი ცოლის შერთვას, ის დიდ უარზედ იდგა. ჯერ ერთი აქაურ ქალს არ ვითხოვ და ან ცოლი რად მინდა ან შვილები. განა შენი შვილები ჩემები არ არიან?—მართლაც ჩემი ოთხივე ქალი ნიკომ გაათხოვა თავის ხარჯით.

ერთხელ ნიკომ აქ ყოფნა აღარ მინდა, განა მარტო ჭამა-დალევა და ჩაცმა-დახურვაა ცხოვრება?—აი მე უნდა სხვა ქვეყნები ვნახო, ეს მეინტერესებაო. აელო კიდეც სამუდამო ბილეთი (უვადო პასპორტი) და მე მომაბარა. როდესაც შევიტყე, რომ ნიკო მართლა ემზადება წასასვლელად. გადავწყვიტე ბილეთი არ მიმეცა. სხვებმაც ესე მითხრეს, „ბილეთი არ გამოუჩინო. უთხარი რომ დაგეკარგა, თორემ თუ წავიდა სულ გადიკარგებაო“. მეც ესე მოვიქეცი. მაგრამ ნიკომ რევოლვერი ამოიღო მოკვლას მიპირებდა და მეც ბოლოს მივეცი ბილეთი. წავიდა. იმის შემდეგ რვა წელიწადი, გავიდა ნიკოზედ ველარაფერი გავიგეთ, თუმცა ჩემი ქმარი სამჯერაც ჩავიდა ქალაქში იმის სანახავად, მაგრამ ეთქვათ ეხლა აქ იყო და წავიდაო, ამადაამ ალაგას ხატამსო, მაგრამ ვერსად ვერ მიეგნო მისთვის. დიმიტრი ალულიშვილმა ამ ამ ერთითვის წინად ჩემს შვილს ნიკო ბარამიშვილს (ნიკო ფიროსმანის დისწულია) გამოუცხადა: „რაღა დროსია ნიკო დიდი ხანია მოკვდა მე თითონ დავმარხეო“ ზოგნი გვეუბნებიან რომ ისევ ცოცხალია, ნამდვილად არაფერი ვიცით.

დასასრულ ნიკო ფიროსმანის და ფეფე და მისი შვილები სთხოვენ გაზეთ „ბახტრიონის“ რედაქციას მიაწოდოს მათ ნამდვილი ცნობა ფიროსმანზე, რომ შესაფერისათ პატივი სცენ მათთვის დაუვიწყარ მოამაგეს.

**ნინა თარიშვილი**

## ქართული ჟურნალ გაზეთების შეგროვება

16 დეკემბერს, მწიგნობარმა ი. კვიცარიძემ ჩამოიტანა ტფილისში საგაზეთე კანტორა „იმერეთში“ უკანასკნელ 25 წ. განმავლობაში ნაგროვები სამწერლო განმავლობის ერთი დიდი ნაწილი, რომელშიაც არის:

1. დიდი და პატარა სურათები ქართველი ძველი და ახალი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა ჩარჩოებში და უჩარჩოდ სულ 104 ცალი.

2. ძველი და ახალი გაზეთები ტფილისისა: „დროება“, “ივერია“, (18 წ.) „ცნ. ფურცელი“, „შრომა“, „მეგობარი“ (1906 წ.) „კვალი“ (10 წ.), „ნობათი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „ეშმაკის მათრახი„, „ფასკუნჯი“‘ „ნიშადური‘‘, ,,საქართველო‘‘ და სხ. 1881—1910 წლებისა და ქუთაითური გაზეთები: ,,კოლხიდა‘‘, ,,იმერეთი‘‘ და ,,ერ-‘,,რნაუიყლები: ,,ფონი‘‘, ,,ცისკარი‘‘, ,,მეოცნებე ნიამორები‘‘, ,,შვილდოსანი‘‘‘ ,,არმაზი,,, ,,ყანწები‘‘, ,,ლეილა‘‘ ,,უქიმერიონი‘‘, ,,კრებული‘‘, ,,სკოლა‘‘, და ,,ოჯახი‘‘, ალმანახები: ,,მაშხალა‘‘, ,,ჯოჯოხეთის მახშალა‘‘, ,,შურდული‘‘, ,,ჰინკა‘‘, ,,ნემსი‘‘, ,,სადგისი‘‘, ,,ქარიშხალი‘‘, ,,ლიაქოთი‘‘, ,,თეატრი და სხ. სულ 120.

3. წიგნები რუსული.

4. ძველი და ახალი რამდენიმე სამუზეუმო იშვიათი ნივთები.

5. იშვიათი საუნჯე ქართული სიტყვიერებისა, კალიგრაფიული ხელნაწერი—,,ლექსიკონი‘‘—საბა-სულხან ორბელიანისა, დავით რექტორის სამეცნიერო შენიშვნებით.

მთელი ეს განძეულობა არის მოთავსებული 4 დიდ ყუთში, წონით 20 ფ. ზემო ჩამოთვლილი განძეულობა ი. კვიცარიძემ ჩააბარა 16 დეკემბერ საქართველოს მუზეუმის დირექტორს.

# ქრონიკა

**რედაქციისაგან:**

**ივანე მაჩაბლის ნომერი გამოვა 14 იანვარს**

**1922 წლის ქართული პოეზიის მიმოხილვა მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ № ში**

**,,მეოცნებე ნიამორები‘‘** საახალწლოთ გამოვა ვალერია გაფრინდაშვილის რედაქტორობით ,,მეოცნებე ნიამორები‘‘-ს მე 9 ნომერი. ჟუნალში მოთავსებულნი იქნება შემდეგი ლექსები და წერილები: გრიგოლ რობაქიძე ,,ხორალი მეორე‘‘, პაოლო იაშვილი ,,პავლე ინგოროყვას‘‘ ტიციან ტაბიძე ,,ნინა მაყაშვილს‘‘, გიორგი ლეონიძე ,,სონეტი კანცლერ ლეონიძეს‘‘ შალვა აფხაიძე ,,ღამის პეიზაჟი‘‘, რაჟდენ გვეტაძე ,,ელამი სარკე‘‘, ვალერიან გაფრინდაშვილი ,,ყელსახვევის პოეტიკა‘‘, წერილები: ტიციან ტაბიძე ,,ირონია და ცინიზმი‘‘ (პრობლემა შემარცხენეობის პოეზიაში) სანდრო ცირეკიძე ,,მკითხველისთვის‘‘, ვალერიან გაფრინდაშვილი ,,ლირიკას ელიზიუმი‘‘ ჟურნალი ეღირება 25 ათასი, მისამართი ხელოვნების სასახლე (სერგ. ქ. № 13).

## სახელმწიფო გამომცემლობისათვის

სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობა დღემდის სახელმძვანელოებს და კალენდრებს ვერ გასცდა. რაც შეეხება მის მაღაზიებს, რომლებზედაც თითეული ბუკინისტი გაცილებით საინტერესოა, მისი ვიტრინები ღარიბია და ერთფეროვანი. რომ მოიგონოთ ძველი გამომცემლობანი და კერძოთ ქ. ბ. წ. კ. საზ-ბა, მაშინვე იგრძნობთ, რომ ქართული წიგნის საქმე მაინცა და მაინც წინ არ წასულა.

განა შესაძლებელია, ითქვას, რომ სახელმწიფო გამომცემლობას გუშინდელი დღის კულტურის მემკვიდრეობა არ დარჩა? ეს მეკვიდრეობა თითქმის მოუხმარებელია.

ერთად ერთი მისი გამართლებაა ვაჟა-ფშაველას I ტომი, რომელიც ტეხნიკურად არ უნდა შეეფერებოდეს მის აპარატს. მეორე ტომიც იგვიანებს. შარშან დიდი გეგმა იყო დაწყობილი, ქართული ზეპირი სიტყვაობის გამოცემისათვის და ეხლა ისიც აღარ ახსოვთ. როგოლც ვიცით მზადდებოდა: გიორგი მერჩული, რუსთაველი, საბა სულხან ორბელიანი, ივანე მაჩაბელის შექსპირი და სხ. ალბად ეს დაწყობილობა საგაზეთო ინფორმაციას ვერ გასცილდა და და დღეს მასზედ უკვე აღარავინ ფიქრობს.

ქართული კლასიკური ლიტერატურა თითქოს აღარ სჭირდება სკოლას, ან ქართულ საზოგადოებას: არც ,,იაფ-ფასიანი‘‘ გამომცემლობა მოხერხდა, ვერც სალიტერატურო ან სამეცნიერო ორგანო, ვერც საყმაწვილო ჟურნალი, რომელიც ერთის ნაცვლად ორი გამოდიოდა. მართალია, ადვილი არ არის დღეს გამომცემლობა, მაგრამ სახელმწიფოებრიულ აპპარატს, როგორიც სახ. გამომცემლობაა, უნდა შეეძლოს კიდეც ისეთი ძნელი საქმის გაძღოლა, რასაც დღევანდელ პირობებში კერძო პირი ველარ იტვირთებს.

თუ დიდი კრიზისია გამომცემლობის, მაშ როგორ გამოდის სახგამომცემლობის სანქციით და ასრულებით ხუთას ექვსასიანი გვერდი ყოვლად უსარგებლო და უნიჭო „თხუზულებანი“ ვინმე იაგო ტეტუნაშვილისა, რაც ალბად ათეული მილიონები დაჯდა?.. ასეთ კურიოზებს, რასაკვირველია ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

**№**

*) წერილი უკვე აწყო აწობილი იყო როცა როცა გაზეთებში გამოქვეყნდა განათლების კომისარიატის ბრძანება, რომელითაც ი. ტეტუნაშვილის ,,ცხოვრების გზაზე‘‘ როგოც უვარგისი ლა ლიტერატურულ ღირსებას მოკლებული უნდა აღიკრძალოს და დაუყონებლივ მოსპობილ იქმნას წიგნის ყველა მაღაზიებში

**რედ.**

# ვანო ხანჯალაძე

პ ო ე მ ა.

გრენადაში მოსახლობდა დონ დიეგო როდრიგეცი,
ესპანეთის დიდი გრანდი, თქმოთ კოჭლი, თვალით ბეცი.
მისი ცოლი იზაბელა, შავთვალწარბა ნაზი დონნა,
საუზმეს არ მიირთმევდა, თუ არ ედგა ვარდის კონა.

ამ მეუღლეთ ჰყავდათ ქალი, ლეონორა მშვენიერი,
ოქრომკედის კავი ჰქონდა, და ლოყები ვარდის ფერი.
მეფე ალფონს მოეწონა მის სიმღერა მოცქრიალე,
და როდრიგეცს ჩამოჰკიდა რაღაც ჯილდო მოელვარე.

სწორეთ ამ დროს გრენადაში იყო ერთი მოლაქლაქე,
ვინმე ვანო ხანჯალაძე, ზესტაფონის მოქალაქე.
უცნაურათ ბედმა იგდო ჩვენი ვანო ესპანეთში,
მან დასტოვა ათასობით ვექსილები იმერეთში..

გრენადაში ჩამოვიდა ხანჯალაძე უაბაზოთ,
მაგრამ ყველგან შედიოდა, როგორც პრინცი, სადარბაზოთ.
მის ხანჯალსა დასცინოდნენ გრენადელი ბიჭბუჭები,
და ღიმილით აცილებდნენ ლამაზ ვანოს მადონები.

ერთხელ, ლამაზ შემოდგომას, როს ხეები ყვითლდებოდნენ
გრენადაში ესპანელნი მეფე ალფონს უხვდებოდნენ.
სახლი, ქუჩა, გადაქმნილნი წითელ-ყვითელ ბაირაღად
კაცს ეგონა საუცხოვო, საოცნებო რაღაც ბაღად.

მოდის დიდი ლიტანია ლამაზი და ფერიანი,
ბოლოს თეთრ ცხენს აზის კოხტათ მეფე ალფონს ცხვირიანი.
დონ დიეგო ახლავს მეფეს და ამშვენეას კავალკადას,
ქუჩაში კი ლეონორას ვანო უმღერს აბდა-უბდას...

ესპანური არ იცოდა, ან რათ უნდა იმას ენა,
ვინც კი იცის ჩუმი კოცნა, ბულბულივით ტკბილი სტვენა.
ეუბნება:—მხოლოდ შენ ერთს სიყვარული, სიხარული,
—პოეზია, ჰარმონია, სული, გული დადაგული...

მეორე დღეს, სასახლეში, მეფე ალფონს წარუდგინეს
საქართველოს დიდი პრინცი. დონ ჯოვანი დონ ყვირილეს.
მეფემ უთხრა:—გვიხარიან, რომ ბრძანდები ეგრე კარგათ,
—ვიმედოვნებთ, ესპანეთი მოგეწონა, პრინცო' ალბათ.

ხანჯალაძემ უპასუხა თავისებურ რიხიანათ:
—სამეფოში დავინახე ყველაფერი რიგიანათ,
—მხოლოდ ვერ სვამთ ჩვენებურათ, მალე თვრება ესპანელი,
—შენ რომ ნახო პიტნავასთან რას სვამს და სჭამს იმერელი!..

—ბადრიჯანი წიწაკითა, ხარჩო ღომით, სულუგუნი
—და შამფურზე წიწილები, გოჭი, ცხვარი... მაიმუნი.
—ამას მოზდევს ჩვენი ღვინო წითელი და ოქროს ფერი,
—მაჭარია შედარებით მასთან ხერეს და მადერი.

—მოხდენილი ქალები გყავთ, მათ სიყვარულს მე მოველი,
—მაგრამ მადრიდს გააგიჟებს ჩვენი თამარ წერეთელი,
—თქვენ მშვენიერ ქალაქებსა, უკაცრავად მეფევ, მგონი.
—ყველაფერში აბათილებს დიდებული ზესტაფონი.

—ძროხის მოკვლა შპაგით მოსწონთ გაგიჟებით ესპანეთში,
—ჩვენ კი გვიყვარს სისხლი ჩხუბში მეეგობრულად ერთმანეთში.
—ესპანელი მდიდარია თუ ჯიბეში აქვს პეზეტი,
—ჩვენში—მთხოვარსაც უნდება მილიონზე ცოტა მეტი.

—მომღერლებიც კარგი გყვანან,—განთქმულია თქვენი სერტი,
—მაგრამ ვანო სარაჯინი მღერის როგორც ქრისტე ღმერთი.
—დონ-კიხოტი, სანჩო-პანჩო თქვენ წიგნიდან გაიცანით,
—ჩვენში ცოცხლები დადიან, მგზავსნი სულით, სახით, ტანით...

—გაუმარჯოს ესპანეთსა, გაუმარჯოს მეფე ალფონს,
—თქვენი ლამაზი ქვეყანა ხანჯალაძეს მაინც მოსწონს...
მეფემ ხელი ჩამართვა, ჩამოჰკიდა გულზე ჯვარი,
და უბოძა ხანჯალაძეს სამფლობელოდ მთა და ბარი.

მეორე დღეს დონ დიეგომ მისცა ცოლათ ლეონორა,
ამნაირათ ჩვენმა ვანომ თავის საქმე გაასწორა.
მალე ვაჟიც დაებადა, მას დაარქვეს გრამიტონი,
ნათლობაში მეფემ ბრძანა:—იყოს გრაფი ზესტაფონი!...

ესპანელმა მე მიამბო ეს შემთხვევა საოცარი
და ამისხნა ვანოს ღერბი: ერთ კუთხეში—თეთრი ცხვარი,
მეორეში—დიდი ყანწი, მესამეში—კუპატები,
მეოთხეში—ორ შამფურზე ოქროთ შემწვარი ბატები.

მე ყანჩელმა, ბარნაბელმა, გადმოგეცით ეს ამბავი,
ღმერთმა მისცეს ხანჯალაძეს სიცოცხლე და მარჯვე მკლავი,
თქვენც, მკითხველნო ამა ლექსის, მოგცეს მუდამ გამარჯვება,
გაალხინოს და დაათროს პატიოსნათ თქვენი კრება.

**სანდრო ყანჩელი.**

მზიანი ქრისტეშობის თვე
1922წ.
ქ ა ლ ა ქ ი.

რედაქტორი: **გიორგი ლეონიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადება
## ს. ს. ს. რესპუბლიკის განათ. კომისარიატისა

სახელმწიფო გამომცემლობა ამით აცხადებს რესპულიკის ყველა სასწავლებლების საყურადღებოდ, რომ სახელმწიფო გამომცემლობის წიგნის მაღაზიაში რუსთაველის პროსპექტი №№ 9-11 და პლეხანოვის 3) მიღებულია გასასყიდათ შემდეგი სახელმძღვანელოები:

1. კიკვაძე—ჩვენი სკოლა მე 3 წ.
2. პუმბურიძე—თაიგული ბუნების-კარისმაგიერ
3. შაფაქიძე—თვალსაჩინო გეომეტრია.
4. საზონოვი—ქიმიის სახელმძღვანელო ტეხნიკუმებისათვის.
5. რაზმაძე—ინტეგრალური აღრიცხვის კურსი ნაწ. 1
6. ოცხელი—ელემენტარული გეომეტრია.
7. ცაგარეიშვილის—გეოგრაფია 1 ნაწ.
8. ოცხელი—ელემენტარული ალგებრა 1 ნაწ.
9. ცაგარეიშვილის—გეოგრაფია 2 ნაწ.
10. რობაქიძის—სამშობლოს აღწერა.
11. ჯანელიძე—ფიზიკა 1 ნაწ.
12. ქვარიანი—საქართველოს ისტორია.
13. ხმალაძი—არითმეტიკული კრებული.
14. რუსკოე სლოვო 2 ნაწ.
15. გუთანი.
16. გორგაძე—საქართველოს ძველი ისტორია.
17. ოცხელი და ნიჟარაძე—ფიზიკა 2 ნაწ.
18. კირიონი და ყიფშიძე—სიტყვიერების თეორია.
19. კელენჯერიძე—სიტყვიერების თეორი
,, ქართული ლიტერ· ისტორია.
21. დავ. დონდუა—ზოოლოგია.
22. გორგაძე—ახალი მწერლები 1 ნაწ.
23. ,, ,, 2 ნაწ.
24. შევარდნაძე და სვანიძე—გერმანული სახელმძღ.
25. ზაალიშვილი—ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგ.
26. ჩხენკელი—ბუნება 2 ნაწ.
27. ხმალაძე—არითმეტიკული კრებული 3 ნაწ.
28. ,, ,, ,, 1 ნაწ.
29. ჩიმაკაძე და შუბლაძე—არითმეტიკ. კრებ. 1 ნაწ.
30. ,, ,, 2 ნაწ.
31. ,, ,, 2 კლასისათვის
32. ბერიძე—ლოგარიფმების ცხრილი.
33. ინკოლაძე—საქართველოს ისტორია.
34. ჭავჭავაძე—ქართული ლიტერატურა.
35. ხუნდაძე—ქართული ლიტერატურა.
36. ,, გრამატიკა.
37. თორაძე—ფრანგული ენის სახელმძღვანელო მე და მე-4 კლასისათვის.
38. ჯორჯიკია—კარლოს მე-2 ისტორია.
39. ნალი—გერმანული სახელმძღვანელო.
40. ჯორჯიია—კარლოს მე 2 ისტორია.
41. წერეთლი—თერმინოლოგია.
42. შუბლაძე—სახმო წესის კითხვის სწავლა.
43. თორაძე—ბესიკის ცხოვრება.
44. ბარათაშვილი—საქართველოს ისტორია.
45. ,, ქართული ნოტები.
46. ხახანაშვილი—ქართული სიტყვიერების ისტორია.
47. უზნაძე—ძველი ისტორია 2 ნაწ.
48. ჩინჩალაძე—მოკლე ლათინური გრამატიკა.
49. ჭავლიშვილი—არითმეტიკული სახელმძღვან. 1 ნაწ.
50. აკაკი—იგავ არაკები.
51. ნათაძე—ინგლისის ისტორია.
52. ბარნოვი—თხუზულებანი ტომ 1.
53. ლილიონი—მოთხრობები.
54. წერეთელი—კიკოლიკა ჩიკოლიკა.
55. რუსთაველი—ვეფხვის ტყაოსანი.
56. არაგვისპირელი—თხუზულებები.
57. ლოსაბერიძე—საექიმო მეცნიერება.
58. წერეთელი—რუხი მგელი.
59. დონდუა—ჰაერი და სითბო.
60. შარაშიძე—მეხის ამბავი.
61. შამშინოვი—ხატვა-ხაზვის ელემენტარული კურს.
62. დედა-ენა 2 ნაწ.
63. წერეთელი—მსოფლიო ისტორია 1 ნაწ.
64. ,, ,, ,, 2 ნაწ.
65. ,, ,, ,, 3 ნაწ.
66. ავალიანი—მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო მე წ.
67. ავალიანი მსოფლიო ისტორიის სახელმძვანელო მე-3.
68. შაპოშნიკოვი და ვიალცოვი—ალგებრული და ამოცანათა კრებული.
69. დათეშიძის—არითმეტიკული ამოცანათა კრებული 1 ნაწ.
70. ,, ,, 2 ნაწ.
71. კოსონგოვი ფიზიკა.
72. ზედგინიძე—ახალი ქართული ანბანი.
73. დავ. დონდუა—ჰაერი, წყალი და დედამიწა.
74. ,, ბოტანიკა.
75. ჯავახიშვილი—საქართველოს მოკლე ისტორია.
76. ხუციშვილისა—არითმეტიკული ამოცანათა კრებული.
77. ნუცუბიძე—ფილოსოფიის შესავალი 1 ნაწ.
78. ნუცუბიძე—ლოღიკა.
79. ნათიშვილი—ადამიანის ნორმალური ანატომია.
80. კაკაბაძე—საქართველოს შემოკლებული ისტორია.
81. გველესიანი და უზნაძის—ახალი ისტორია.
82. ვარლამ დონდუა—საშუალო საუკუნეთა ისტორია.
83. წერეთელი—ალგებრული ამოცანათა კრებული 2 ნაწ
84. ოცხელი—ქართული ქრისტომატია.
85. ანდრია რაზმაძის—ინტეგრალური აღრიცხვის კურსი ნაწილი 1 განუსაზღვრელი ინტეგრალები.

მაღაზიაში მოიპოვება მრავალი სახელმძღვანელოები რუსულ სკოლებისათვის, სკოლებს და განათლების განყოფილებებს, რომელნიც წიგნებს შეიძენენ ბითუმათ ეძლევა 5—30 პროც. წიგნები ფას დაკლებით.

## საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სამმართველო
### აცხადებს

შეჯიბრებას ბათუმის ნავთსადგურში რკინის ნავთსადგომის კაპიტალურ რემონტის სამუშაო იჯარით გასაცემად. განცხადებები უნდა იქნას შემოტანილი დახურულ კონვერტში.

(ეს ნავთსადგომი, წინად ეკუთვნოდა რუსეთის სატრანსპორტო საზოგადოებას).

### რემონტი ჯდება 43 787 მანეთი 43 კაპ. ოქროთი.

შეჯიბრებაში მოწვეულნი არიან მწარმოებელნი, რომელთაც ჰიდრო-ტეხნიკურ მუშაობას წარმოებაში აქვთ საკმაო გამოცდილება, რის შესახებაც იმ პირებმა, რომელთაც სურთ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება უნდა წარუდგინონ საზღვაო ტრანსპორტი უფროსს სათანადო ცნობები არა უგვიანეს 22 დიკემბრისა

ფასების რაოდენობა უნდა წარედგინოს საქართველოს ,,მორტრანს", დახურულ კონვერტებში შემდეგი ზედწარწერით: **შეჯიბრებისათვის ბათუმის ნავთსადგურში რკინის ნავთსადგურების სარემონტო მუშების იჯარით ასაღებად.** (ამა და ამ პირისაგან) 23 დეკემბერს დღის 12 საათისათვის.

ამავე ვადაზე, ამ გაეცხადებათა გარდა ,,მორტრანის" კასაში უნდა იქნას შეტანილი წინასწარი საწინდარი 50 **მილიონი მანეთი ქართული ბონებით** ან სათანადო თანხა ვალიუტის კურსის მიხედვით.

იჯარის აღების შემდეგ კონტრაგენტებმა 10 დღის განმავლობაში უნდა გადიდოს საწინდარი 4,350 მანეთამდე ოქროთი. ფულის საწინდრის ნაცვლად შეიძლება წარდგენილ იქნას ოფიციალური დოკუმენტები რესპუბლიკის საზღვრებში აღნიშნულ საღირალის უძრავი ქონების ძფლობულობის შესახებ.

შეჯიბრების შესახებ საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქ. ტფილისში საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოში (ლორის-მელიქოვის ქ. № 5) სადაც შეიძლება აგრეთვე განცხადებათა ბლანკების უწყებების მიღება და მუშების და კონტრაქტის პროექტის გაცნობაც.

# შეჯიბრება

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოც. რესპუბლიკის რკინის გზათა სამმართველოსაგან.

**ამით ცხადდება, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან (თბილისი, ვაგზლის ქ. № 1, ოთახი № 44 1922 წ. 20 დეკემბერს საქართველოს რკინის გზებზე**

**ბათომ-ფოთი და კახეთის ხაზიდან სალოლამდე და სანაინამდე და ა. წ. 25 დეკემბერს აზერბეიჯანის რკინის გზებზე სალოლლიდან არამლინსკის სადგურამდე დანიშნულია**

შეჯიბრება ტვირთიზიდვის—დატვირთვის, გადმოტვირთვის, ხელახალი დატვირთვის მუშაოების და ბარგის დატვირთების

**დაცვის და მგზავრების სამსახურისთვის მუშების (НАСИЛЧИК) და ... იჯარით გაცემა**

**1 იანვარი 1923 წ. 31 დეკემბრამდე.**

ის პირები, რომელიც სურთ აღნიშნულ სამუშაოების აღება, ადგენენ ამის შესახებ წერილებითი განცხადებას დაბეჭდილ კონვერტებში შემდეგი ზედწაწერით: „ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს შეჯიბრებისათვის ტვირთზიდვის სამუშაოების იჯარით ასაღებად."

განცხადებათა შეტანის უკანასკნელი ვადა საქართველოსათვის თავდება 1922 წ. 20 დეკემბერს, აზერბეიჯანისათვის 25 დეკემბერს დღის 12 საათზე.

განცხადებაში შეჯიბრებაში მონაწილეს სახელის მამის სახელის და გვარის გარდა უნდა იქნას აღნიშნული ასაღებ სამუშაოს ყოველგვარი პირობები და მათი გვარაბი.

ხელშეკრულების დადების დროს აღნიშნულ სამუშაოების კეთილ-სინდისიერად წარმოების და ტვირთების დაცვის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულების დამდებმა უნდა შეიტანოს საწინდარი საქართველოსათვის—2,000,000,000 (ორი მილიარდი მანეთი ქართული ფულის ნიშნებით), ხოლო აზერბეიჯანისათვის—25,000,000,000 მან. (თხუთმეტი მილიარდი მანეთი, აზერბეიჯანი ფულის ნიშნებით), ან სათანადო ვალიუტა კურსის მიხედვით).

განცხადებასთან ერთად უნდა იქნეს წამოდგენილი ქვითარი წინასწარი საწინდარის 20 პროცენტის შეტანის შესახებ.

საწინდარი იმ პირთა, რომელთაც არ მიეცემათ სამუშაოები ეკონომიური ნაწილში ქვითარის წარდგენისათანავე დაუყენებლივ დაუბრუნდებათ უკანვე

საბჭოთა ცნობის მიღება შეიძლება რკინის გზათა სამმართველოს ეკონომიურ ნაწილში საქონელ სადგურის განყოფილებაში ოთახი № 60 ყოველ დღე დილის 10—1 საათამდე, გარდა უქმე დღეებისა.

**სამმართველო**

## მეცხვარეთა ამხანაგობა
# „მწყემსი"-ს
## გამგეობა

აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ 1622 წ. წლის 23 იანისათვის (ძველი სტილით 10 იანვარი), ქალაქ ილის-ტფილისში დილის 10 საათზე დანიშნულია

# რწმუნებულთა წლიური
## კრება

თანახმად წესდების მე-19, 21, 24 და 25 მუხ. განსახილველია:

1. ანგარიშების დამტკიცება 1921 წლ. პირველ თიბათვიდან 1922 წლის პირველ მაისამდის.
2. გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. მომავალი მოქმედების გეგმა და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა.
4. საბჭოს დებულება და წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა და დამატება.
5. გასამრჯელოს დანიშვნა გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრებისთვის.
6. ინფორმაცია ანგარიშების მდგომარეობისა 1922 წლ. 1 თიბათვიდან 1923 წლ. 1 იანვრამდის. საძოვრების საკითხი საქართველოში და სხვა მიმდინარე საკითხები.
7. ახალი წევრების დამტკიცება.
8. გამგეობის წევრის არჩევა თანახმად წესდების მე-31 მუხლ., კ. ნ. აფაზის მაგიერ.
9. საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები თანახმად წესდების მე-39 მუხლ.

თუ წესდების 24 და 25 მუხლების თანახმად, დანიშნულ დღეს, წევრთა აღნიშნულ რიცხვთა დაუსწრებლობის გამო, კრება არ შესდგა, კრება მოწვეული არის 24 იანვრისთვის (ახალი სტილით), დილის 10 საათზე, იმავე საკითხების განსახილველათ, და ეს კრება კანონიერია რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

„მწყემსი"-ს გამგეობა.

## პირველი ხარისხოვანი სასტუმრო
# „ორიანტი"

ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პროსპექტი № 9.

**საუკეთესო ნომრები, ვანა, ელექტრონის განათება, ტელეფონი.**

**სასტუმროსთან რ ე ს ტ ო რ ა ნ ი**

ევროპიული და აზიური სამზარეულოთი, საუკეთესო

### მზარეულთა ზედამხედველობით.

საუზმე, სადილი, ვახშამი, სასმელები. სადილები ეძლევა ყველას 2—5 1/2 საათამდე

ფასები დაკლებულია.